პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

მეოთხე წელიწადი

საქართ. კომუნისტური პარტიის
ცენტრალური და თბილისის
კომიტეტის
და სრულიად საქართველოს მუშათა, გლეხთა, წითელარმიელთა და მეზღვაურთა დეპუტატების საბჭოების
ცენტრ. აღმასკომის
ორგანო

რედაქცია
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი
№ 24, მეორე სართული

რედაქციაში საქმისათვის მოლაპარაკება შეიძლება ყოველდღე
გარდა კვირა-უქმეებისა 10—11 საათ.

ტელეფონები (რედაქტორის 14—76
(მდივანის 10—58

მთავარი კანტორა
თბილისი, რუსთაველის პროსპექტი, 24
ტელეფონი 10—49

ხელისმოწერის ფასი: მუშა-მოსამსახურეთ —65 კ., დანარჩ. ქალაქში—85 კ. ქალაქს გარეთ 95 კ. განცხადებები: ნომპარელის სტრიქონით—20 კ. აწყობა ციფრებით—25 კ. ა. | კავკ. გარეშე—40 კ. აწყობა ციფრებით—60 კ., შუა გვერდებში—ორჯერ მეტი. სამგლოვიარო განცხადება—5 მან., განმეორებითი განცხადება 15 პროცენტ. შეღავათით. განცხადება მიიღება ნაშუადღ. 3 საათამდე.

№ 190 (1045) პარასკევი 22 აგვისტო 1924 წ.

ყოველდღიური გაზეთი

ფასი 4 კ. № 190 (1045)

დღიური

— მოსკოვის საბჭოს სხდომაზე სიტყვები წარმოსთქვეს ამხ. ჩიჩერინმა და რაკოვსკიმ.

— სუდანში საალყო წესებია გამოცხადებული.

— ბელგიაში გაფიცულია 25000 მუშა.

— საფრანგეთის კომპარტიამ მოწოდებით მიმართა საფრანგეთის მუშებს.

— კანადაში გაიმართა მათემატიკოსთა კონგრესი.

— საბჭოთა მეზღვაურებს დიდის ზეიმით შეხვდენ შვეციაში.

— პოლონეთში დიდი უმუშევრობაა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს კომპარტიის (ბ) თბილისის კომიტეტი წინადადებას იძლევა, რომ პარასკევს, 22 აგვისტოს,

ერთიან პარტიულ დღეს

საკითხი დასვან თვით უჯრედებმა.

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

ქვედა აპარატების გაჯანსაღებისათვის

საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის და სოფლის ცხოვრების აღორძინებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს ჩვენი ქვედა აპარატების შემადგენლობას და მათ მუშაობას.

უმთავრესად მათი საშუალებით იცნობს გლეხობა საბჭოთა ხელისუფლების ბუნებას და შინაარსს, მათი საშუალებით ადგენს ის ამა თუ იმ შეხედულებას არსებულ წყობილებაზე.

ამიტომ ჩვენ უნდა ავიღოთ მაგარი კურსი ქვედა აპარატების შემდეგი გაჯანსაღებაზე.

ავიღოთ თემის საბჭო—ეს ძირითადი უჯრედი ჩვენი სახელმწიფოებრივი ორგანიზაციის.

თავის თავად ცხადია, რომ საბჭო უნდა შესდგებოდეს სოფლის მოსახლეობის ღარიბ და საშუალო ელემენტებისაგან. აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ცნება „ღარიბს" ესაჭიროება განმარტება, რადგან ის ზოგჯერ გადამახინჯებულად ესმით. სოფლად მოიპოვებიან ისეთი შეძლო გლეხები, რომელთა სიღარიბე იხსნება არა იმდენად ობიექტიური პირობებით, რამდენად მათი სიზარმაცით და გაურჯელობით. მათ ეზარებათ ხელის განძრევა, მუშაობა. ისინი წარმოადგენენ სოფლის „ლუმპერ-პროლეტარიატს".

საბჭოთა ხელისუფლება, რა თქმა უნდა, ასეთ არამზადა ელემენტებს ვერ დაემყარება, თუნდაც მათ სიღარიბის მანდატი ჰქონდეთ შუბლზე მიკრული. ის ხალხი, რომელსაც არ გააჩნია ხალისი და უნარი თავის საკუთარი, საოჯახო საქმის მოწყობის, საბჭოთა საზოგადოებრიობას არაფერს შემატებს თუ ხელს არ შეუშლის. მათ არავითარი ნდობა და პატივისცემა არ მოეპოვებათ მოსახლეობაში. ამასთან ასეთი პირები, თუ მოხვდებიან საბჭოთა ორგანოებში, ადვილად ჩავარდებიან კულაკების ტყვეობაში. მათი „გულის მოგება" [illegible] იოლად შეიძლება ერთი ჭიქა ღვინოთი.

ეს კია, რომ ჩვენ ყოველი ზომა უნდა მივიღოთ ასეთი ელემენტებში აქტივობის გასაღვიძებლად, მათ ჩასაბმელად სამეურნეო მუშაობაში.

როცა ჩვენ ელაპარაკობთ, რომ საბჭოთა ხელისუფლება ემყარება ღარიბ გლეხობას,—ყოველთვის მხედველობაში გვაქვს მხოლოდ ნამდვილად მშრომელი და პატიოსანი გლეხობა. ეს მართლაც რომ საიმედო სოციალური საძირკველია მშრომელთა ხელისუფლების. სწორედ ასეთი ელემენტები უნდა იყვნენ საბჭოში არჩეულნი.

შემდეგ, ჩვენ გვინდა შევეხოთ თვით საბჭოს მუშაობას. აღსანიშნავია, რომ საბჭო—დღეს შესაფერ მონაწილეობას არ იღებს სასოფლო საქმეების მოგვარებაში. მისი სხდომები ხშირად არ ხდება. როცა იკრიბება, მაშინაც სათანადო თვითმოქმედებას ვერ იჩენს. საბჭოს თავმჯდომარე არა იშვიათად ერთად ერთი გადამწყვეტია სოფლად წამოჭრილ მიმდინარე საკითხების.

ჩვენ სასტიკი ბრძოლა უნდა გამოვუცხადოთ ასეთ არანორმალურ მდგომარეობას. უნდა განვამტკიცოთ კოლექტიური მუშაობის პრინციპები. სოფლის მთელი მშრომელი მოსახლეობა, კერძოდ საბჭო უნდა იქნას აქტიურად ჩაბმული სასოფლო საქმეების წარმართვაში. ამ მხრივ საბჭოს თავმჯდომარეს ბევრი რამის გაკეთება შეუძლია, თუ ის თავის დანიშნულების სიმაღლეზე დგას, თუ პირადი უფლების მოყვარეობით არ არის დაავადებული და გამსჭვალულია გლეხობასთან შეთანხმებული და საერთო მუშაობის სურვილით.

საბჭოს თავმჯდომარეობა მეტად საპასუხისმგებლო თანამდებობაა. ამ თანამდებობის მატარებელი უნდა იყოს არა მარტო პოლიტიკურად და სოციალურად მისაღები მუშურ-გლეხური რეჟიმისათვის (პოლიტიკურად საიმედო, მშრომელი ელემენტი), არა მარტო თავის მოვალეობათა კარგად მცოდნე, არამედ ამასთან პირადად საკმაოდ დარბაისელი და სერიოზული პიროვნება, თავაზიანი გლეხობასთან მოპყრობაში და ენერგიული. მხოლოდ ასეთი კაცს ექნება საჭირო ავტორიტეტი სოფელში, მხოლოდ ასეთი კაცს შეუძლია გლეხობას გაუძღვეს და საზოგადო საქმე გააკეთოს. დაახლოვებით ასეთივე უნდა იყვნენ საბჭოს წევრებიც.

ზედმეტია იმაზე ლაპარაკი, რომ საბჭოთა ორგანოებთან ახლოს არ უნდა გაჰპარდნენ კულაკური ელემენტები. ახალ ეკონომიურ პოლიტიკის პირობებში სოფლად გაჩნდა ეკონომიურად საკმაოდ ღონიერი ჯგუფი გლეხობის, რომელიც ცდილობს პირდაპირი თუ არაპირდაპირი გზით ხელისუფლების დაპყრობას ადგილობრივად; პირდაპირი გზით—თუ ისინი შესძლებენ საბჭოთა ორგანოებში შეძრომას, არაპირდაპირი გზით—თუ მოახერხებენ საბჭოს თავმჯდომარის და წევრების მიმხრობას, მათთან „დამეგობრებას".

საჭიროა ჩვენ ფხიზელი თვალყური ვადევნოთ კულაკების ლტოლვას ძალა-უფლებისაკენ სოფლად და დავიცვათ სოფლის ორგანოები მათი გავლენისაგან.

ყველაფერი რაც ვსთქვით საბჭოზე, ითქმის აგრეთვე კოოპერატივზე და სოფლის სხვა დაწესებულებებზე.

ჩვენი უპირველესი ამოცანაა—სხვადასხვა სასოფლო ორგანოებისათვის შესაფერ მუშაკების მომზადება, ამ ორგანოებში სოფლის მშრომელ, პატიოსან, მოწინავე ელემენტების გაყვანა, მოსახლეობის თვითმოქმედების და ინიციატივის გაღვიძება და სასტიკი ბრძოლა კულაკების აშკარა თუ ფარული, ყოველგვარი სახის გავლენის გამოხატულებასთან.

საბიუჯეტო უფლებები

საბიუჯეტო უფლება, როგორც ცალკე რესპუბლიკის, ისე საერთო საკავშირო კონსტიტუციაში წარმოადგენს უმნიშვნელოვანეს საკითხს. საბიუჯეტო უფლება არის საუკეთესო სარკე სახელმწიფოს უფლებრივი მდგომარეობისა.

საერთო საკავშირო კონსტიტუციის მეორე კარში, სადაც მოყვანილია ხელშეკრულება, რომელიც იქნა დადებული „РСФСР-ის, УССР-ის, БССР-ის და ЗСФСР-ის (ს. ს. რ. აზერბეიჯანი, ს. ს. რ. საქართველო და ს. ს. რ. სომხეთი)"—შორის, ბიუჯეტის საკითხს პირდაპირ და არა პირდაპირ ეხება თავი პირველი, მუხლი პირველი, ლიტერები—д, з, и, к და განსაკუთრებით л. ამ ლიტერში არის ნათქვამი, რომ. СССР-ის კომპეტენციას შეადგენს: „დამტკიცება СССР-ის საერთო სახელმწიფო ბიუჯეტისა, რომლის შემადგენლობაში შედის მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები; დაწესება საერთო საკავშირო გადასახადების და შემოსავლების და აგრეთვე მათგან გადარიცხვების და მათზე დამატების, რომლებისგანაც შესდგება მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები; ნებართვა დამატებითი გადასახადების და შემოსავლების დაწესებისა, რომლებიდგანაც მოკავშირე რესპუბლიკათა ბიუჯეტები შედგება". საკავშირო ხელშეკრულობაში, რომელიც ჩართულია საერთო საკავშირო კონსტიტუციაში, ბიუჯეტის საკითხს პირდაპირ მხოლოდ ეს ლიტერი ეხება.

საბიუჯეტო უფლებების განვითარება ჯერ კიდევ არაა დამთავრებული. თანამედროვე ეკონომიურ პირობებში, როდესაც ბიუჯეტი მეტად დეფიციტიანია, საბიუჯეტო უფლების საბოლოოთ ჩამოყალიბება თითქმის შეუძლებელი ამოცანაა, რაშიდაც ადვილათ დარწმუნდებით, თუ გავითვალისწინებთ ბიუჯეტის ბუნებას და მნიშვნელობას. ბიუჯეტი არ არის სახელმწიფო შემოსავალ-გასავლის უბრალო გამოანგარიშება; ბიუჯეტი არის განსაზღვრულ პერიოდის სახელმწიფოს მოღვაწეობის გეგმა, რომელშიდაც აღნიშნულია შემოსავლის წყაროები, თითოეული წყაროდან მოსალოდნელი შემოსავალი ერთის მხრით და აუცილებელი მოთხოვნილებების და თითოეული მათგანის დასაფარავად საჭირო ხარჯები მეორეს მხრით. ბიუჯეტში შემოსავალ-გასავალის შორის უნდა იყოს სწორი ბალანსი; თუ გასავალი შემოსავალს სჭარბობს, მაშინ დეფიციტი იფარება სხვადასხვა გვარი საკრედიტო ოპერაციების ანდა ემისიის საშუალებით. აი, როდესაც სახელმწიფო ამნაირად უდგება საბიუჯეტო საკითხს და თვითონ აგვარებს თავის საბიუჯეტო საქმეს, **მაშინ მას აქვს საბიუჯეტო უფლება და მოვალეობა.** ამ შემთხვევაში მას აქვს შესაძლებლობა „ყველა თავისი შემოსავალი მოიხმაროს თავისი მოთხოვნილებათა დასაფარავად და თავის შემოსავლის წყაროების ფარგლებში გაშალოს ყველა მისი უწყებათა მოქმედების გეგმა. კავშირს არ შეუძლია,—ამბობს ამხ. ნ. გობზა,—რამეში შეზღუდოს ამ რესპუბლიკის ხარჯები, თუ ეს ხარჯები თავსდებიან ფარგლებში, რომელიც რესპუბლიკის შემოსავლის წყაროებით არის მოხაზული" (Финанз. газ. № 137).

მაგრამ ამავე დროს რესპუბლიკები ვალდებულია თავის ხარჯები საკუთარი შემოსავლით დაფარონ და ყოველ შემთხვევაში საერთო კავშირიდან არ უნდა მოელოდენ დეფიციტის დაფარვას. საერთო კავშირის ფინ. სახ. კომისარიატის ორგანო „საფინ. გაზეთი" (იქვე) ამხ. გობზას პირით ამბობს, რომ, „თუ ასეთი დეფიციტი აღმოჩნდა, მაშინ რესპუბლიკამ თვითონ უნდა მოძებნოს წყარო ამ დეფიციტის დასაფარავად", მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში, გამონაკლისის სახით, მოკავშირე რესპუბლიკამ შეიძლება მიიღოს დახმარება დეფიციტის დასაფარავად საერთო საკავშირო წყაროდან.

ასეთ პირობებში უნდა შედგეს რესპუბლიკების მტკიცე რეალური ბიუჯეტები. მაგრამ რა საშუალებით?

არის ორი მთავარი გზა ცალკე რესპუბლიკათა და საერთო საკავშირო ბიუჯეტების შედგენისა.

პირველი. თითეულ მოკავშირე რესპუბლიკას, მის ტერიტორიაზე, ეკუთვნის ყოველგვარი გადასახადი და შემოსავალი, გარდა საექსპორტო და საიმპორტო ბაჟებისა, საერთო კავშირს გარდა ამ ბაჟებისა არა აქვს სხვა გადასახადის და შემოსავლის წყარო. საერთო საკავშირო მოთხოვნილებათა დასაკმაყოფილებლად თითოეულ რესპუბლიკას საერთო საკავშირო სალაროში, თავის მდგომარეობის მიხედვით, შეაქვს განსაზღვრული თანხა, ეგრეთ წოდებულ „მატრიკულიარული" გამოსაღები.

მეორე. ყოველგვარი გადასახადი და სხვა საშემოსავლო წყარო (არასაგადასახადო) ეკუთვნის საერთო კავშირს, რომელიც ამ შემოსავლებიდან რესპუბლიკებს უთმობს გადასახადებიდან გადარიცხვებს, დამატებას, არასაგადასახადო შემოსავლის ნაწილს და განსაზღვრულ პირობებში აძლევს დოტაციას.

საერთო კავშირის საფინანსო კანონმდებლობას საფუძვლად ეს უკანასკნელი სისტემა დაედვა. საერთო კავშირს ეკუთვნის ყველა საშემოსავლო წყაროები და ის უთმობს რესპუბლიკებს ნაწილს ამ წყაროებისას და შემოსავლისას რესპუბლიკების ხარჯების დასაფარავად.

ამხანაგი რეინგოლდი, დღევანდელი ხელმძღვანელი კავშირის საბიუჯეტო სამმართველოსი, თავის თეზისებში ამბობს (საფინანსო გაზეთი № 137): „ბიუჯეტში ბალანსის შექმნის უზრუნველსაყოფელად რესპუბლიკებს, გარდა ზოგიერთ საგადასახადო და არა საგადასახადო წყაროებისა, ეძლევათ გადარიცხვანი და დამატებანი; აგრეთვე მათ საშემოსავლო წყაროს შეადგენს იჯარისა და კონცესიებისაგან შემოსავალი და სხვა. მოკავშირე რესპუბლიკებს შეიძლება მიეცეს საერთო საკავშირო წყაროებიდან დოტაცია, როდესაც ამ კავშირის ორგანოების მიერ იქნება ცნობილი რესპუბლიკების ბიუჯეტში აღნიშნული დეფიციტი. რესპუბლიკების შემოსავლად ჩაითვლება აგრეთვე ნახევარი იმ თანხისა, რაც მათ ზედმეტად დარჩებათ ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯების დაფარვის შემდეგ.

აი, ამ შემოსავლებიდან შემდგარ საერთო თანხის ფარგლებში უნდა დამუშავდეს და მოთავსდეს რესპუბლიკის ხარჯთ-აღრიცხვა. თითოეული რესპუბლიკა თვითონ სწყვეტს ამ ფარგლებში თავის კომისარიატების ხარჯის რაოდენობის საკითხს. თუ საბიუჯეტო წლის განმავლობაში ბიუჯეტის შესრულების დროს მოსავლის ვარაუდი არ გამართლდა—ნაკლები შემოვიდა,—რესპუბლიკა საკავშირო ცენტრის დაუკითხავად თვითონ გადაამუშავებს ბიუჯეტს და გაანაწილებს ხარჯებს ისე, რომ სახელმწიფოს მოთხოვნილებები უდოტაციოთ დააკმაყოფილოს.

რესპუბლიკა წინასწარ იღებს ცნობას, შეიძლება თუ არა მიეცეს მას დოტაცია და დადებით შემთხვევაში რამდენი? რესპუბლიკა ამის შემდეგ შეადგენს თავის ბიუჯეტს და მას საერთო კავშირის ცაკი უცვლელად ამტკიცებს, თუ ბიუჯეტი გადაჭარბებულ დოტაციას არ მოითხოვს ან თუ ის თავის შინაარსით საერთო-საკავშირო პოლიტიკას არ ეწინააღმდეგება. თუ ასეთი წინააღმდეგობა აღმოჩნდა ან თუ ბიუჯეტი საერთო კავშირისათვის მიუღებელ დოტაციას მოითხოვს, ბიუჯეტი უბრუნდება რესპუბლიკას, რომელსაც ევალება გადაამუშავოს თავისი ბიუჯეტი თანახმად საერთო საკავშირო დირექტივებისა.

ასეთია საერთო საფუძვლები რესპუბლიკანურ ბიუჯეტების შედგენა—დამტკიცებისა.

საერთო საკავშირო კონსტიტუციის მეორე კარის პირველი თავში აღნუსხულია ის უფლებები, რომელნიც ამ კავშირს მიანიჭა მოკავშირე რესპუბლიკებმა; იმავე მეორე კარის მეორე თავში აღნუსხულია სუვერენული მოკავშირე რესპუბლიკათა უფლებები; ასეთი რესპუბლიკებია: (იხ. კარი მეორე—დეკლარატიული ნაწილი): „რუსეთის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკა, უკრაინის სოც. საბჭ. რესპუბლიკა, ბელორუსიის სოც. საბჭ. რესპუბლიკა და ა.-კავკასის სოც. ფედერატ. საბჭ. რესპუბლიკა (საბჭ. სოც. რესპუბლიკა აზერბეიჯანი, საბჭ. სოც. რესპ. საქართველო და საბჭ. სოც. რესპ. სომხეთი"). კავშირში ა.-კ. სოც. ფედერატ. საბჭ. რესპუბლიკას აქვს განსაკუთრებული სტრუქტურა: ის არის ფედერაცია სამი სუვერენული რესპუბლიკის, რაც აგრეთვე აღნიშნულია საერთო საკავშირო კონსტიტუციაში (კარი მეორე—შესავალი და ამავე კარის თავი მეორე). როგორც საერთო კავშირიდან მოკავშირე რესპუბლიკები იღებენ საბიუჯეტო კანონებს, დირექტივებს, და მოსალოდნელ დოტაციის მაჩვენებელ საკონტროლო ციფრს, ისე ამიერ-კ. ფედერაციიდან მოკავშირე რესპუბლიკები—აზერბეიჯანი, საქართველო და სომხეთი—ღებულობენ საერთო კავშირის და ა | კ ფედერაციის მიერ დამტკიცებულ კანონებს და დირექტივებს ა | კ ფინსახკომისაგან, როგორც სადირექტივო კომისარიატისაგან. (Малицкий. Советская Конституция, 1924 г. გვ. 119). ბიუჯეტის დამუშავებაში და საერთოთ საბიუჯეტო სფეროში ა | კავკასიის რესპუბლიკებს, მათ მიერ სადირექტივო ფინსახკომიდან მიღებულ კანონ-დირექტივების ფარგლებში იგივე საბიუჯეტო უფლებები აქვთ, რა უფლებებიც აქვს მინიჭებული მოკავშირე რესპუბლიკებს.

დ. თ.

ფელეტონი

პოლონელი „სოციალისტები"—კომუნისტის მკვლელები

ამას წინედ ჩატარებულმა ომის საწინააღმდეგო კამპანიამ მრავალი სისხლი გაუშრო არა მარტო ბურჟუაზიას, არამედ მის მაჩანჩალასაც—მეორე ინტერნაციონალის პარტიებს. უკანასკნელებს უნდოდათ გაემართლებიათ მუშათა კლასის წინაშე თავიანთი წარსული და ეხლანდელი მოღალატეობა, მოეჩვენებიათ მისთვის, რომ ისინი თითქო იბრძვიან ომის წინააღმდეგ და ყოველ ზომებს იღებენ მის ასაცილებლად. მაგრამ კომუნისტების შეუბრალებელმა მხილებამ, გაბედულმა მართალმა სიტყვამ მათ დავთარი აუბნია და მზის სინათლეზე გამოფინა სოციალ-შეთანხმებლების ყველა დანაშაულობანი.

ამან გამოიწვია ამ პოლიტიკურად და მორალურად გაკოტრებულ ხალხში ველური შურისძიება ჩვენი ამხანაგების მიმართ.

აღსანიშნავია, რომ კომუნისტების და რევოლიუციონერ მუშების დემონსტრაციებს სისხლში ჩასახრჩობად ამოძრავებენ არა მარტო ბურჟუაზიის პოლიცია და ჟანდარმერია, არამედ სოც.-მოღალატენიც, რომელნიც ბნელი პროვოკაციული გამოსვლებით ამისათვის ქმნიდნენ ატმოსფერას, ზოგან კიდევ მათ პირდაპირ თავიანთი შეიარაღებული ბრბოებით მოახდინეს დემონსტრანტების დარბევა-აწიოკება.

ამ მხრივ ყველაზე უფრო „გაითქვეს სახელი" პოლონეთის „სოციალისტებმა". თავის დროზე დეპეშით იყო გადმოცემული ცნობა მათი „დრუჟინნიკების" მიერ (შეიარაღებული ბრბოები) ჩვენი ამხანაგის **ბიქტორ ბელის** მოკვლის შესახებ მიტინგზე, 3 აგვისტოს, ვარშავაში.

„პრავდა"-ს ვარშაველი კორესპონდენტი გადმოგვცემს დაწვრილებითი ცნობებს ამ ფაქტის შესახებ.

ვინ იყო ამხ. ბელი?

„ბელი წარმოადგენდა ვარშავის მუშა-რევოლიუციონერის საუკეთესო ტიპს. შევიდა რა კომპარტიაში 4 წლის წინედ, ამხ. ბელი ჩქარა წინაურდება და იხვეჭს პარტამხანაგების და მუშების საყოველთაო სიყვარულს".

ამხ. ბელის პოპულიარობას მუშებ შორის ვერ ურიგდება პ. ს. პ. („პოლონეთის სოციალისტური პარტია", „პე-პე-ესოველები").

„ბელის არაჩვეულებრივი პოპულიარობა მუშებ შორის იწვევს მისდამი განსაკუთრებულ სიძულვილს „ოხრანკის" და პ. ს. პ.-სას, რომელიც ცხოვრების ლოღიკამ მჭიდროდ შეადუღა ერთმანეთთან. პ. ს. პ.-სათვის ბელი წარმოადგენს მეტად საშიშ მოწინააღმდეგეს, და ის ადგენს ამა თუ იმ გზით მოიშოროს ის თავიდან. „პეპეესოველების" დანაშაულებრივ განზრახვას ანხორციელებენ მათი „დრუჟინნიკები" 3 აგვისტოს".

ჩვენ საჭიროდ მიგვაჩნია იმ მიტინგის სურათის გადმოცემა, სადაც ჩადენილ იქნა ეს საზიზღარი აქტი:

„განიცადეს რა სრული დამარცხება რამოდენიმე წინანდელ მიტინგებზე ვარშავასა და პროვინციაში, „პეპეესოველებმა" ვერ გაბედეს კვირის (3 აგვისტოს) მიტინგზე მოსვლა დამცველი რაზმის გარეშე ამ მიზნით მობილიზაცია უყვეს ყველა რაიონებში „პეპეესოველთა" სამხედრო რაზმებს, რომელნიც სამხედრო წესით დალაგდნენ მიტინგის გახსნამდე. მიუხედავად სასტიკი გაცხრილვისა, დარბაზში მოახერხა შესვლა მუშების საკმაო რიცხვმა, რომელთაც კარგად ჰქონდათ კბილი გასინჯული „ხალხის მეგობარ" „პეპეესოველებისათვის. მაშინ „დრუჟინნიკების" მთავარმა შტაბმა გასცა განკარგულება რკინის ჯოხებით ესწავლებიათ მუშებისათვის მორჩილება „პეპეესოველების" მეთაურთა მიმართ".

მაგრამ ასეთმა „რბილმა" და „უწყინარმა" ზომამაც ვერ გასჭრა და მიტინგზე გაისმა პროტესტების ხმა „პეპეესოველების" წინააღმდეგ. მუშების ასეთმა „თავხედობამ" მოთმინებიდან გამოიყვანა სოციალ-ბანდიტები:

„პეპეესოველების" წინააღმდეგ შეკრებილ მუშების მხრით პროტესტის პირველი გამოხატულებამ მისცა სიგნალი (ნიშანი) ცემა-ტყეპისათვის. ნაცემი და მძიმედ დაჭრილი 40 კაცზე მეტი აღმოჩნდა".

„პეპეესოველ" ხულიგანებს განსაკუთრებით ამხ. ბელი ჰქონდათ ნიშანში ამოღებული. წინედაც არა ერთხელ მოუხდენიათ ამ ბანდიტებს მაზე თავდასხმა, მაგრამ ის ყოველთვის გადარჩენილა. ეხლა კი მათ იხელთეს უფრო „მოხერხებული დრო" და მოღალატური ტყვიით გაუგმირეს გულმკერდი ამ იშვიათ რევოლიუციონერს.

საგულისხმოა ამხ. ბელის დასაფლავების ისტორიაც. მკვლელებისათვის ცხადი იყო, რომ ამხ. ბელის საჯაროდ დაკრძალვა, მისი გვამის ქუჩებში გამოჩენა გახდებოდა საბაბად მუშების მრისხანე საპროტესტო გამოსვლებისათვის. ამიტომ

„მოკლულის გვამი პოლიციამ არ დაანება მის ცოლს; ხოლო ოთხშაბათს დილის 3 საათზე ფარულად წაიღო სასაფლაოზე, ამაზე პოლიციამ შეატყობინა მოკლულის ცოლს დაკრძალვამდე მხოლოდ ერთი საათით წინ. უდროოდ დაღუპულ რევოლიუციონერის დასაფლავებაზე, გარდა ცოლისა და რამდენიმე ათეულ პოლიციელისა არავინ ყოფილა".

აი, სოციალ-მოღალატეების „მოღვაწეობის" საუცხოვო ნიმუში. რევოლიუციონერებთან ბრძოლაში მათ სავსებით შეითვისეს ფაშისტური მეთოდები. აბა რით განსხვავდებიან მატეოტის მკვლელი ფაშისტები და ამხ. ბელის მკვლელი „სოციალისტები"? განსხვავება თუ რამე არის—ეს ის, რომ ასეთი სისაძაგლის ჩამდენ სოციალ-გამცემლებს მუშათა კლასის წარმომადგენლებად მოაქვთ თავი. ამაზე შორს უტიფრობა ვერ წავა.

ისიც უნდა ვიცოდეთ, რომ ჩვენთან ბრძოლაში ფაშისტების გზას მეორე ინტერნაციონალის პარტიები მარტო გუშინ და დღეს არ დასდგომიან. თუგინდ გავიხსენოთ, რომ გერმანელ მენშევიკების ხელები გასვრილია კ. ლიბკნეხტის და რ. ლიუქსემბურგის სისხლით.

მუშათა კლასი ამ დანაშაულობას არ აპატიებს სოციალ-ბანდიტებს და ხულიგნებს.

ლონდონის „შეთანხმების" შემდეგ

საფრანგეთში უკმაყოფილო არიან მაკდონალდის წერილით

ინგლისის მუშები პროტესტს აცხადებენ დოუესის გეგმის მიღების გამო

ბანკირები გერმანიასთან კომერციული ურთიერთობის გაფართოებას აპირებენ

საფრანგეთის მთავრობამ მოიწონა ერრიოს პოლიტიკა ლონდონის კონფერენციაზე.

განწყობილება გერმანიაში

გერმანიის სახელმწიფოთა პრემიერების თათბირი

ბერლინი. 19 აგვისტო. სამშაბათს დაიწყო ყველა იმ სახელმწიფოების პრემიერთა თათბირი, რომლებიც შედიან გერმანიის რესპუბლიკის შემადგენლობაში. მარქსმა და შტრეზემანმა გააკეთეს მოხსენება ლონდონის კონფერენციის შესახებ, რასაც მოჰყვა ხანგრძლივი კამათი. თუ ვიმსჯელებთ თათბირის მსვლელობის მიხედვით, უნდა ვიფიქროთ, რომ პრემიერები მოიწონებენ ლონდონის შეთანხმებას.

დღეს გაიხსნება რეიხსტაგი

რეიხსტაგის სხდომა დანიშნულია 22 აგვისტოსათვის.

ნაციონალისტების მუქარა

პომერანიის ნაციონალისტებმა და პომერანიის მემამულეთა კავშირმა გამოუგზავნეს ნაციონალისტების ფრაქციას დეპეშა, რომელშიაც ავალებენ მათ მოითხოვონ ლონდონის შეთანხმების უარყოფა.

მთავრობის „ზომები"

მთავრობა ამაზე საპასუხოდ ნახევრად ოფიციალურად ემუქრება მათ, რომ შეთანხმებისათვის წინააღმდეგობის გაწევის შემთხვევაში დიდათ შემცირებული იქნება კრედიტები სასოფლო მეურნეობისათვის. მთავრობის მხრივ ზეგავლენის მეორე საშუალებას წარმოადგენს ვოლფის სააგენტოს ოფიციალური ცნობა, რომ ლონდონის ყველა რეზოლიუციები გაუქმდება და შეთანხმების ყველა მონაწილეებს მიეცემათ მოქმედების სრული თავისუფლება იმ შემთხვევაში, თუ რეიხსტაგი აგვისტოს დასასრულს არ მიიღებს კანონ-პროექტებს, რომლებიც გათვალისწინებულია დოუესის გეგმაში და ამრიგად, გაუქმდება საფრანგეთის და ბელგიის დაპირებები იმის შესახებ, რომ დასცლიან დორტმუნდის ზონას და სხვა ოლქებს, რომლებიც დაკავებულია სანქციების სახით.

მოიწონეს მარქს-შტრეზემანის „მუშაობა".

ნაუენი. 21 აგვისტო. შტრეზმანის მოხსენების განხილვა ლონდონის კონფერენციის შედეგების შესახებ გაგრძელდება პარასკევამდე. როგორც ფიქრობენ ამ დღეს შეიკრიბება რეიხსტაგი. გერმანიის სახელმწიფოების პრემიერები არ მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას ლონდონში მიღწეულ შეთანხმების გამო, სანამ ამის შესახებ თავის აზრს არ გამოსთქვამს საიმპერიო საბჭო. მიუხედავად ამისა, გერმანიის სახელმწიფოების წარმომადგენლებმა ერთხმად მოიწონეს გერმანიის დელეგაციის ნაბიჯები ლონდონის კონფერენციაზე.

რას ამბობენ საფრანგეთში

ერრიოს საზეიმო შეხვედრა

პარიზი. 19 აგვისტო. სადგურში ერრიოს დაბრუნების გამო მოეწყო მანიფესტაცია. სადგურთან მოგროვილი ხალხი შეხვდა ერრიოს ხმებით: „გაუმარჯოს ერრიოს". „გაუმარჯოს მშვიდობიანობას". ნაციონალისტ-მანიფესტანტების სტვენამ ვერ დაარღვია მანიფესტაციის საერთო განწყობილება, რომელიც გაზ. „პეპლ"-ის აზრით, წარმოადგენდა **პარიზის მცხოვრებთა განაჩენს პუანკარეს პოლიტიკაზე.** მუშათა მასები მანიფესტაციაში არ იღებდენ მონაწილეობას. პროლეტარიატის ნაწილი, რომელსაც ხელმძღვანელობს კომუნისტური პარტია, უარყოფითად უცქერის ლონდონის კონფერენციის დამთავრებას.

უკმაყოფილება მაკდონალდის წერილით

რადიკალების და სოციალისტების ენტუზიაზმს საგრძნობლად შეანელა მაკდონალდის წერილმა ერრიოსა და ბელგიის პრემიერ ტენისისადმი, რომელშიაც მაკდონალდი ინგლისის მთავრობის სახელით კვლავ პროტესტს აცხადებს რურის ოკუპაციის წინააღმდეგ და მოითხოვს **ევაკუაციის სასწრაფოდ მოხდენას.** თითქმის ყველა გაზეთები აქვეყნებენ მაკდონალდის წერილს უკომენტარიოთ. ერრიოს მომხრეები ძალიან შეშფოთდა მაკდონალდის ასეთმა გამოსვლამ დაუყოვნებლივ, ლონდონში შეთანხმების მიღწევის შემდეგ. ნაციონალისტური პრესა სარგებლობს შემთხვევით, რათა ხაზი გაუსვას იმას, რომ მიღწეული შეთანხმება არ არის მტკიცე. „ფიგარო" ილაშქრებს მაკდონალდის წინააღმდეგ **და მის გამოსვლას უწოდებს „შანტაჟს".**

საფრანგეთის მთავრობა კმაყოფილია

პარიზი, 19 აგვისტო. საფრანგეთის მინისტრთა საბჭომ ერთხმად მოიწონა საფრანგეთის დელეგაციის მუშაობა ლონდონში და მადლობა გამოუცხადა მას კონფერენციაზე მიღწეული შედეგებისათვის. ერრიო გამოვა ხუთშაბათს ორთავე პალატაში დაწვრილებითი ანგარიშით კონფერენციის მუშაობის შესახებ.

ნაუენი, 20 აგვისტო. საფრანგეთის კაბინეტის წევრებმა ერთხმად მოიწონეს საფრანგეთის დელეგაციის მიერ მიღწეული შეთანხმება ლონდონში. ხუთშაბათს ერრიო გააკეთებს მოხსენებას კონფერენციის შესახებ დეპუტატთა პალატაში და სენატში.

მაკდონალდის წერილის გამო

საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრის განმარტება.

ნაუენი. 21 აგვისტო. მაკდონალდის წერილში ერიოსა და ტენისის მიმართ პრემიერი აღნიშნავს, რომ საჭიროა რურის ევაკუაციის დაჩქარება, მიუხედავად ოკუპაციის ერთი წლის ვადისა, რომელიც კონფერენციამ განსაზღვრა. **ამ წერილს უკმაყოფილოთ შეხვდა საფრანგეთის პრესა.** ამის გამო საფრანგეთის გარეშე საქმეთა მინისტრმა გამოაქვეყნა განმარტება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ მაკდონალდის წერილს არ უნდა შევხედოთ ისე, როგორც ინგლისის მთავრობის არა მეგობრულ აქტს საფრანგეთის მიმართოთ.

ახალი ომის საბაბი

მუშები „შეთანხმების" შესახებ

ლონდონი. 19 აგვისტო. პრესა აქვეყნებს მთელ რიგ რეზოლიუციებს, რომლებიც მიღებულია ადგილობრივ მუშათა ორგანიზაციების მიერ და მოწმობენ იმას, რომ ინგლისის კომპარტიის კამპანიას დოუესის გეგმის წინააღმდეგ მოაქვს რეალური ნაყოფი.

„დეილი ჰერალდ" აქვეყნებს პროფკავშირების ლონდონის საბჭოს რეზოლიუციას, რომელიც ახასიათებს დოუესის გეგმას, როგორც—დანაშაულს მუშათა კლასის წინააღმდეგ და მოუწოდებს მუშათა მთავრობას უარჰყოს ეს პროექტი და იკისროს საერთაშორისო კონფერენციის მოწვევის ინიციატივა გერმანიის და საბჭოთა კავშირის მონაწილეობით, სარეპარაციო საკითხის ხელახლა გადაწყვეტის მიზნით. საბჭოს მდივანი რეზოლიუციაზე დართულ წერილში სწერს: „დოუესის პროექტს, როგორც ვერსალის ხელშეკრულებას მივყევართ ახალ ომისაკენ; ის ეწინააღმდეგება მუშათა პარტიის პოლიტიკას. შეკავშირებული პროლეტარიატისათვის დადგა დრო უარყოს თავისი პოლიტიკის ყოველგვარი ცვლილებები და განამტკიცოს ის პრინციპები, რომლებზედაც აღიზარდა მუშათა პარტია. უმჯობესია დაეცეს მთავრობა თავისი პრინციპებისათვის ბრძოლაში, ვინემ დარჩეს ხელისუფლების სათავეში და ხელი აიღოს თავის პოლიტიკაზე".

ასეთივე რეზოლიუციებია მიღებული მთელ რიგ სხვა მუშათა ორგანიზაციების მიერ.

ერრიოს განცხადება

პარიზი. 21 აგვისტო. პრესის წარმომადგენლებთან საუბრის დროს ერრიომ ჩამოთვალა ყველა ის სარგებლობა, რომელიც მოაქვს ლონდონში მიღწეულ შეთანხმებას და მიუთითა მთავრობის შემდეგი მუშაობის გეგმაზე. პარლამენტში კამათის და ლონდონის შეთანხმების რატიფიკაციის შემდეგ ერრიოს განზრახული აქვს შეისწავლოს სიძვირესთან ბრძოლის ზომები და აგრეთვე საკითხი საფრანგეთის უშიშროების შესახებ და მოემზადოს კონფერენციისათვის, რომელიც მოწვეული იქნება ეკონომიური და მოკავშირეთა ვალების საკითხების გასარჩევად.

ერრიოს განზრახული აქვს აგრეთვე მიაღწიოს რუსეთის საკითხის სასურველად გადაჭრას, რისთვისაც ფიქრობს შეისწავლოს ინგლისში არსებული მასალები საბჭოთა კავშირის შესახებ და გაეცნოს ვაჭრობის და მრეწველობის იმ წარმომადგენლთა აზრს, რომელთაც ურთიერთობა აქვთ საბჭოთა კავშირთან. მაგრამ უნდა ვიფიქროთ, რომ საფრანგეთ-საბჭოთა კავშირის ურთიერთობა ახლო მომავალში კიდევ არ იქნება განახლებული მით უფრო, რომ პარლამენტის წრეებში გავრცელებულ ხმების მიხედვით კამათი პალატაში და სენატში ლონდონის შეთანხმების შესახებ გრძელდება, მიუხედავად ერრიოს ოპტიმიზმისა, გაგრძელდება არა ნაკლებ 20 დღისა. ამას გარდა არა ნაკლები დრო მოუნდება სხვა საკითხებსაც, რომლებიც დასმულია დღის წესრიგში.

სესხი გერმანიისათვის

ამერიკელი კაპიტალისტები და სესხი გერმანიისათვის.

ნაუენი. 21 აგვისტო. ნიუ-იორკიდან მიღებული უკანასკნელი ცნობით როგორც კი დამთავრდება ხელის მოწერა გერმანიის სესხზე, ამერიკელი კაპიტალისტები დასდებენ მთელ რიგ კერძო საკრედიტო ხელშეკრულებებს გერმანიის სხვადასხვა სამრეწველო დაწესებულებებთან. ეს ხელშეკრულებები შეეხება უმთავრესად გერმანიის პოტაშის და საფეიქრო წარმოებებს.

სნოუდენი გერმანიისათვის მისაცემ სესხის შესახებ.

ნაუენი. 21 აგვისტო. „მანჩესტერ გარდიენის" ცნობით, სნოუდენმა რურის ოკუპაციის ვადის გაგრძელების გამო, გამოსთქვა ეჭვი გერმანიისათვის გასაცემ სესხის რეალიზაციის წარმატებაში. ამასთანავე განსაკუთრებით ხაზი გაუსვა საფრანგეთის მრეწველობის ლტოლვას დააწესოს კონტროლი გერმანიაზე

პრესის გამოძახილი

ამერიკული პრესა

ნიუ-იორკი, 18 აგვისტო. რესპუბლიკანური პრესა უკეთებს რა კომენტარიებს ლონდონის კონფერენციის დამთავრებას, სცდილობს შექმნას ისეთი შთაბეჭდილება, რომ ევროპის მშვიდობიანობის პრობლემა საბოლოოდაა გადაწყვეტილი და წინასწარმეტყველებს ამერიკის კეთილდღეობის განმტკიცებას. ნაკლებად აღტაცებულია ფინანსიური პრესა, რომელიც ამ პერსპექტივებს ფრიად სკეპტიკურად უცქერის. ხერსტის პრესა უსაყვედურებს მთავრობას იმაში, რომ მან ვერ შესძლო ფულის შეკრება ყველა მოვალეებისაგან და აცხადებს, რომ საფრანგეთს არ სურს გადაუხადოს ამერიკას თავისი ვალები და ის ხარჯავს რეპარაციებს სამხედრო საჭიროებაზე.

მთავრობის წარმომადგენლები აღნიშნავენ, რომ **ახლოვდება მთელ მსოფლიოში ამერიკელ კაპიტალის შეჭრის ხანა. ოქროს მარაგის დიდი რაოდენობა და ამერიკის პროცენტების სიმცირე, ხელს შეუწყობს ამერიკის კაპიტალის დაბანდებას საზღვარ გარედ.**

ინგლისის პრესა

ლონდონი. 18 აგვისტო. ლონდონის პრესა საერთოთ გამოსთქვამს კმაყოფილებას მოკავშირეთა კონფერენციის წარმატებით დასრულების გამო. გაზეთების უმრავლესობა ფიქრობს, რომ დღეს პრობლემის ცენტრი გადატანილია პარიზსა და ბერლინში, სადაც უნდა მოხდეს შეთანხმების რატიფიკაცია.

„ტაიმსი" სწერს: „უნდა ვიქონიოთ იმედი, რომ საფრანგეთსა და გერმანიის პარლამენტები მხედველობაში მიიღებენ სასოწარკვეთილებას, რომელიც მოიცავს ევროპას იმ შემთხვევაში, თუ კონფერენციის მუშაობა სრულიად გაქარწყლებული იქნება პარიზსა და ბერლინში".

„დეილი გერალდი" იზიარებს მაკდონალდის აზრს, რომ მუშაობა მხოლოდ იწყება გაზეთების სიტყვით. ახლო მომავალში საჭირო იქნება სხვა კონფერენციის მოწვევა დოუესის პროექტით შექმნილ მდგომარეობის და მოკავშირეთა ვალების საკითხის განსახილველად.

„მანჩესტერ გარდიენი" ხაზს უსვამს რურის ოკუპაციის განგრძობის ეკონომიურ მოტივებს და აღნიშნავს, როგ რური დაკავებულ იქნა იმიტომ, რომ საფრანგეთის უფლებამოსილ მრეწველებს სურდათ გაეზიდათ რურის ნახშირ ელზას-ლოტარინგიის რკინის მრეწველობისათვის. იგივე მრეწველები მოითხოვენ, რომ რურის ოკუპაცია უნდა გაგრძელდეს მანამ, სანამ იგივე მიზანი არ იქნება მიღწეული სხვა საშუალებით.

ჩვენ და უცხოეთი

შვეცია

საბჭოთა კავშირის გემები შვეციაში

ქრისტიანია. 19 აგვისტო. 16 აგვისტოს ტრონტ-ჰეიმიდან გავიდნენ საბჭოთა კავშირის გემები „ავრორა" და „კომსომოლეც" რომელთაც 3 დღე დაჰყვეს ნავთსადგურში, **ტრონტ-ჰეიმის მშრომელებმა ძმურად მიიღეს საბჭოთა კავშირის მეზღვაურები. სახალხო სახლში გაიმართა სადამო წითელ მეზღვაურთა საპატივცემლოთ, ამასთანავე საკონცერტო განყოფილებაში მონაწილეობა მიიღეს თვით მეზღვაურებმა.** მეზღვაურებმა მონაწილეობა მიიღეს აგრეთვე საფუტბოლო შეჯიბრებაში.

კანადა

ჩვენი მეცნიერისთვის პრემიის მიცემა

ნიუ-იორკი. 19 აგვისტო. კანადაში ქალაქ ტორონტოში გაიხსნა მათემატიკოსთა საერთაშორისო კონგრესი, რომელზედაც პირველად 12 წლის შემდეგ ესწრებიან რუსეთის მეცნიერები. საბჭოთა კავშირიდან კონგრესზე გამოცხადდნენ: პროფესორი სტეკლოვი, უსპენსკი, ჰიუნგერი, კოსტიცინი და კრილოვი. რუსეთის მეცნიერებმა გააკეთეს მოხსენებები, რამაც დიდი ინტერესი გამოიწვია. ტორონტოს უნივერსიტეტმა პროფესორ სტეკლოვს მიუხაჯა მათემატიკის დოქტორის საპატიო ხარისხი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

უკანასკნელი ცნობები

ლონდონის „შეთანხმების“ შემდეგ.

რეიხსტაგში.

ბერლინი. 21 აგვისტო. ხვალ ნაშუადღევს გაიხსნება გერმანიის რეიხსტაგის საგანგებო სესია. სიტყვებით გამოვლენ მარქსი, შტრეზემანი და ლუტერი, რომლებიც მოითხოვენ ლონდონის ხელშეკრულების შესასრულებლად საჭირო კანონების სასწრაფოდ მიღებას. მთავრობის მოხსენების მოსმენის შემდეგ, რეიხსტაგი, ალბათ, ორშაბათამდე გადასდებს სხდომას. ორშაბათს კი დაიწყება კამათი მთავრობის მოხსენების გარშემო. ფიქრობენ, რომ მომავალი ხუთშაბათისათვის რეიხსტაგი გამოიტანს დადგენილებებს სარეპარაციო კანონ-პროექტების შესახებ.

ნაციონალისტების პოზიცია.

ბერლინი. 21 აგვისტო. ნაციონალისტების ფრაქციის დამოკიდებულება ლონდონის შეთანხმებისადმი ჯერ გამორკვეული არ არის. დღეს შესდგება ნაციონალისტების ფრიად მნიშვნელოვანი თათბირი, რომელზედაც, ალბათ, გამოტანილი იქნება საბოლოო დადგენილება.

მორგანის კარნახით.

ბერლინი, 21 აგვისტო. როგორც ვაშინგტონიდან იუწყებიან, ამერიკის მთავრობა მზად არის დაეხმაროს ბანკირებს გერმანიისათვის მისაცემ სესხის განაღდებაში. ამისათვის მთავრობა მიმართავს მცხოვრებთ მოწოდებით ხელი მოაწერონ გერმანიის სესხის ობლიგაციებზე.

მდგომარეობა პოლონეთში

პოლიტიკურმა პატიმრებმა სიმშილობა გამოაცხადეს

მრეწველები ცდილობენ შრომის ხელფასის 50 პროც. შემცირებას

პოლონეთში სიმშილობა იწყება

ახალგაზრდათა კომკავშირის ზრდა

მოსკოვი. 20 აგვისტო. კომუნისტური ახალგაზრდობის ინტერნაციონალის აღმასკომის მიერ მიღებული ცნობებით, ამას წინად მომხდარმა გაფიცვამ ზემო-სილეზიაში მეტად დადებითი გავლენა იქონია ახალგაზრდობის კომკავშირის მდგომარეობაზე. ახალგაზრდობის კომკავშირის ორგანიზაცია გაიზარდა 600-დან 1300 წევრამდე.

სიმშილობა პოლონეთის ციხეებში.

მოსკოვი. 20 აგვისტო. „რემესს“-ის აღმასკომის მიერ მიღებული ცნობებით, ლვოვის, პეტროვისის, ლომჟის და ლომნიცის ციხეში სიმშილობა გამოაცხადეს პოლიტიკურმა პატიმრებმა, რომლებიც სასოწარკვეთილებამდე მიიყვანეს მხეცურმა მოპყრობამ და ცხოვრების აუტანელმა პირობებმა.

თვითმკვლელობის შემთხვევები ციხეებში.

ვარშავა, 18 აგვისტო. პოლიტიკურ პატიმრების მდგომარეობა პოლონეთის ციხეებში იმ ზომამდე აუტანელია, რომ მათ შორის თვითმკვლელობის შემთხვევა ჩვეულებრივ მოვლენად იქცა.

„რაბოტნიკ“ იტყობინება, რომ ვარშავის ციხეში თავის მოკვლა სცადა პოლიტიკურმა პატიმარმა ახეცმა, რომელმაც გაიჭრა ყელი. ცენტრალურ ციხეში კარბოლის სიმჟავით თავის მოწამვლა მოინდომა [illegible]ვსკიმ.

ჯაშუშების დასაცავად.

ვარშავა. 18 აგვისტო. გაზ. „რაბოტნიკ“, იცავს პოლონეთის მისიის ლენინგრადში და მინსკში დაპატიმრებულ სამ თანამშრომელს, რომლებიც შემჩნეული იქნენ ჯაშუშებად. გაზეთი თავს იკატუნებს, თითქოს არ იცის დაპატიმრების მიზეზი და მოითხოვს პოლონეთის მთავრობის ენერგიულ ჩარევას. „რაბოტნიკ“-ი აღშფოთებულია მით, რომ საბჭოთა მთავრობა განზრახ „უოველგვარი მიზეზის გარეშე“ ასახლებს მოსკოვიდან პოლონეთის მისიის 6 საუკეთესო მუშაკს.

მუშათა ხელფასის შემცირება 50 პროცენტით.

ვარშავა. 18 აგვისტო. ლოძის მრეწველთა კავშირმა მიმართა ფეიქართა ყვითელ პროფკავშირს წერილით, რომელშიაც აუცილებლად სთვლის სამუშაო ხელფასის შემცირებას 50 პროცენტით.

პარტიზანელების თავდასხმა.

ვარშავა. 18 აგვისტო. „კურიერ პორანნი“ იტყობინება, რომ რაკოვის რაიონში გამოჩნდა პარტიზანული რაზმი. სტოლბციზე თავდასხმის შემდეგ ადგილი ჰქონია პარტიზანელების დაახლოებით 20 გამოსვლას სხვადასხვა რაიონებში.

პოლონეთის არმია დამშეულია.

ვარშავა. 18 აგვისტო. პოლონეთის არმიაში ცუდი კვების გამო ადგილი აქვს მასიურ ავადმყოფობას

ცუდი მოსავალი.

ვარშავა. 18 აგვისტო. მოუსავლიანობის გამო, მემამულეების საზოგადოებამ გამოაქვეყნა ცნობა, რომელშიაც აღნიშნავს, რომ აღმოსავლეთ გალიციისათვის აუცილებელია დახმარება მინდვრების დასათესად. ვიტოსის გაზეთი დახმარებას მოითხოვს სახელმწიფოსაგან. „კურიერ პორანნი“ აღნიშნავს, რომ აუცილებელია პოლონეთიდან მარცვლეულის გაზიდვის აკრძალვა. მიღებული ცნობებით, მიმდინარე წლის მოსავალი 30 პროცენტით ნაკლებია შარშანდელზე.

ბრძოლა კომუნისტების წინააღმდეგ.

ვარშავა. 18 აგვისტო. პოლონეთის სოციალისტური პარტიის იმ ფურცელზე საპასუხოდ, რომელიც მოითხოვდა კომუნისტების გამორიცხვას პროფკავშირებიდან და მათ გაძევებას ფაბრიკებიდან, პოლონეთის დამოუკიდებელმა სოციალისტურმა პარტიამ გამოუშვა მოწოდება, რომელშიაც აღნიშნავს, რომ ბრძოლის ეს მეთოდები გამოიწვევს მხოლოდ მოძმეთა სისხლის მღვრელ ბრძოლას მუშების შორის.

მუშებმა იგრძნეს გამცემლობა

მოსკოვი. 21 აგვისტო. ვარშავაში ზემო-სილეზიაში გაფიცვების შეწყვეტის შემდეგ დაიწყო ნაწილობრივი ლოკაუტი ნახშირის მრეწველობაში. ზოგიერთ მაღაროებიდან დაითხოვეს მუშები. სხვა მაღაროების მეპატრონეები არ ჩქარობენ განაახლონ მუშაობა. მაღაროების მეპატრონეები არ არიან კმაყოფილნი სამედიატორო კომისიის გადაწყვეტილებით და მოითხოვენ ხელფასის 20 პროცენტით შემცირებას. იზრდება უმუშევრობა ზემო-სილეზიაში 10 საათის სამუშაო დღის შემოღების შემდეგ. სამუშაო დღის გადიდების გამო განზრახულია 30.000 მუშის დათხოვნა ლითონის მრეწველობაში. გამართა ფაბრიკა-ქარხნების კომიტეტების დელეგატთა კრებები, რომელთაც მღელვარე ხასიათი ჰქონდათ. მუშები ენერგიულად ილაშქრებენ საგაფიცვო კომიტეტის წინააღმდეგ და ბრალს სდებენ მას გამცემლობაში.

საფრანგეთის ამბები

როგორ შეხვდენ მუშები პუანკარეს.

პარიჟი. 20 აგვისტო. ნაციონალისტების მიერ ლიუნევილში მიწვეულ პუანკარეს ამ ქალაქში ჩასვლის შემდეგ, შეხვდენ საპროტესტო მანიფესტაციით, რომელშიაც მონაწილეობა მიიღო რამდენიმე ასეულმა მუშამ. მანიფესტანტებში გაისმოდა ხმები: „ძირს ომი!“

საფრანგეთის კომპარტიის მოწოდება.

პარიჟი. 19 აგვისტო. საფრანგეთის კომუნისტურმა პარტიამ მიმართა საფრანგეთის მშრომელებს მოწოდებით, რომელშიაც ამტკიცებს, რომ მარცხენა ბლოკი განაგრძობს ნაციონალური ბლოკის პოლიტიკას შინაო და საგარეო პოლიტიკის ყველა საკითხებში როგორიც არის რურის ევაკუაცია, ამნისტია, დათხოვნილ რკინისგზელების სამსახურში მიღება და საბჭოთა კავშირის ცნობა. მოწოდება თავდება განცხადებით, რომ მხოლოდ მუშურ-გლეხურ ბლოკის გამარჯვებას შეუძლია უზრუნველჰყოს მშვიდობიანობა ყველა ქვეყნების პროლეტარულ ძალების გაერთიანებით.

საფრანგეთის თავდაცვითი და სამხედრო ხელშეკრულება სამხრეთ-სლავიასთან.

ვენა. 19 აგვისტო. ბელგრადში მიღებულ ცნობების თანახმად საფრანგეთსა და სამხრეთ-სლავიას შორის მოლაპარაკება თავდაცვით სამხედრო ხელშეკრულების დადების შესახებ წარმატებით მიმდინარეობს. ხელშეკრულების მიზანია მსოფლიო ომის შემდეგ დადებულ საზავო ხელშეკრულებების განხორციელება—ბალკანეთში და ცენტრალურ ევროპაში. ხელშეკრულება დადებული იქნება 5 წლის ვადით. ფიქრობენ, რომ იგი ხელმოწერილი იქნება სექტემბერში სამხრეთ-სლავიის მეფის და გარეშე საქმეთა მინისტრის მარკოვიჩის საფრანგეთში გამგზავრების შემდეგ.

ამნისტიის მოთხოვნა.

პარიჟი. 19 აგვისტო. დეპუტატთა პალატის ხუთშაბათის სხდომაზე კომუნისტ-დეპუტატი მარტი წამოაყენებს მოთხოვნას, რათა ამნისტიის საკითხი საბოლოოდ იქნას დასმული პალატაში პარლამენტის მიმდინარე სესიის დამთავრებამდე.

გაფიცვა ბელგიაში

სოციალ-შეთანხმებლები „წესრიგისაკენ“ მოუწოდებენ

პარიჟი. 29 აგვისტო. ბელგიაში ბორინაჟის ოლქის სამთომადნო მრეწველობის 25.000 გაფიცულმა მუშამ გამართა საპროტესტო მანიფესტაცია ხელფასის შემცირების წინააღმდეგ. სამი სოციალისტ-დეპუტატი, რომლებიც მიტინგზე გამოვიდნენ, მოუწოდებდნენ მუშებს წესიერებისა[illegible] ყოველგვარ ღონისძიებით გვერდს უხვევდენ გაფიცვის გაფართოების საკითხს.

ამ დღეებში ქალაქ ბრიუსელში შესდგება სამთო-მადნო მუშათა კავშირის ცენტრალურ კომიტეტის სხდომა, რომელზედაც ბორინაჟის სამთო-მადნო მუშათა დელეგატები კატეგორიულად მოითხოვენ გაფიცვის გაფართოვებას საყოველთაო გაფიცვამდე.

გერმანიის რევოლუციონურ პროფკავშირებში

კომინტერნის და პროფინტერნის დადგენილებები ტარდება ცხოვრებაში

ბერლინი, 19 აგვისტო. ბერლინში გაიმართა პროფკავშირების მუშაკთა საერთო კონფერენცია კომუნისტურ პარტიასთან ერთად. კონფერენციაზე მონაწილეობდენ პროფესიონალური და პარტიული ორგანიზაციების და ცალკე რევოლიუციონურ კავშირების წარმომადგენლები რიცხვით 371 კაცი.

რუტ ფიშერმა გააკეთა მოხსენება კომუნისტური, პროფესიონალური მუშაობის და საერთო პოლიტიკური მდგომარეობის შესახებ.

გეკკერტმა გააკეთა მოხსენება კომინტერნის და პროფინტერნის უკანასკნელი რეზოლიუციების განხორციელების შესახებ.

კამათის შემდეგ კონფერენციამ შეიმუშავა მოწოდება პროფკავშირებში მასიური შესვლის შესახებ. მოწოდებაში ნათქვამია, რომ რეფორმიზმი პროფკავშირთა მოძრაობაში გაძლიერდა პროფკავშირებიდან რევოლიუციონური ელემენტების გასვლის და მათი პასიურობის გამო. საჭიროა ძლიერი პროფკავშირები და რევოლიუციონური პრაქტიკა იმისათვის, რომ ვაწარმოვოთ წარმატებით ბრძოლა მწარმოებლების და რეფორმიზმის წინააღმდეგ. ამის გამო შეუკავშირებელი მუშები უნდა შედიოდენ პროფკავშირებში, რათა მოახერხონ კავშირებიდან გამორიცხულ ყველა ორგანიზაციების და ცალკე პირების უკანვე მიღება.

ფაშიზმი ბალკანეთზე

ნიადაგს ამზადებენ.

ვენა. 18 აგვისტო.. ბესარაბიის სამხედრო ძალების სარდალმა გენერალმა რუდეანუმ, რომელიც გაწვეულ იქნა ბუქარესტში მეფისათვის მოხსენების გასაკეთებლად, განაცხადა, რომ აუცილებელია სამხედრო ზომების გაძლიერება კომუნისტების წინააღმდეგ. რუმინეთის მინისტრთა საბჭომ დაადგინა გააფართოვოს ბესარაბიის სამხედრო სარდლობის უფლებები.

ცანკოვის რეპრესიები.

ვენა. 18 აგვისტო. შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებით ბულგარეთის მრავალ ოლქებში აკრძალულია მოძრაობა საღამოს 9 საათის შემდეგ. სტარაია ზაგორის, ვარნის და პლოვდივის ოლქში მოხდა კომუნისტების დაპატიმრება. სამსახურიდან ითხოვენ ხშირად იმ სახელმწიფო მოსამსახურეებს, რომელთაც შეამჩნევენ კომპარტიის მომხრეობას. განათლების სამინისტრომ გასცა განკარგულება, რომლის მიხედვით მასიურად ითხოვენ იმ მასწავლებლებს, რომლებიც თანაუგრძნობენ კომუნიზმს. ადგილი აქვს პოლიტიკური პატიმრების გაქცევის ცდებს. სოფიის ცენტრალურ სასამართლოში დაპატიმრებულებმა გამოაცხადეს სიმშილობა პირობების გაუარესების გამო.

ფაშისტურ ორგანიზაციების ახალი ტიპი.

ვენა. 21 აგვისტო. კროაციის (სამხრეთ-სლავია) მთავარ ქალაქში,—ზაგრებში გაიხსნა სამხრეთ-სლავიის „შევარდენთა“ კავშირების (ეროვნულ სასპორტო ორგანიზაციების) ყრილობა, რომელშიაც მონაწილეობას იღებენ სამხრეთ-სლავიის რამოდენიმე ათასი „შევარდენი“ და ჩეხიის, პოლონეთის და თეთრგვარდიელთა სპორტიულ კავშირების წარმომადგენლები. ყრილობის მონაწილეთა და კროატელ „შევარდნებს“ შორის მოხდა სასტიკი შეტაკება, რომლის დროს დაჭრილ იქნენ ყრილობის რამოდენიმე მონაწილე და, მათ შორის, ჩეხეთის წარმომადგენლები. დამოუკიდებელმა მუშათა პარტიამ და ახალგაზრდა მუშათა კავშირმა სპეციალურად გამოქვეყნებულ დეკლარაციაში გაილაშქრეს სამხრეთ-სლავიის „შევარდენთა“ ორგანიზაციის, როგორც მილიტარისტულ და ფაშისტურ გაერთიანების წინააღმდეგ.

სხვა და სხვა ამბები

— **შეტაკება სარწმუნოებრივ ნიადაგზე.** ინდოეთში, ქ. კელბარში ინდეს-ბუდისტებსა და მუსლიმანებს შორის შეტაკება მოხდა სარწმუნოებრივ ნიადაგზე.

— **გერმანია და უნგრეთი.** გერმანიასა და უნგრეთს შორის მიღწეულია შეთანხმება სავაჭრო ხელშეკრულების დადების შესახებ.

— **ინგლისის ვალი.** ინგლისის ხაზინის მიერ გამოქვეყნებული ცნობებით, ინგლისის ვალი უდრის 7,680.000 გირ. სტერლინგს.

— **მსოფლიო საფოსტო კონგრესი.** მსოფლიო საფოსტო კონგრესმა სტოკჰოლმში იდღესასწაულა პირველი საფოსტო კონგრესის მოწვევის დღიდან 50 წლის შესრულების თავი.

— **მატეოტის გვამი.** ოფიციალურად იუწყებიან, რომ სკროფანოსა და კასტელო-ნოუვოს შორის ნაპოვნი გვამი ეკუთვნის მატეოტის.

— **ფრანგებსაც აუჯანყდენ.** იუწყებიან, რომ საფრანგეთის მაროკოში აჯანყება დაიწყო.

— **მღელვარება სუდანში გრძელდება.** ხარტუმიდან იუწყებიან, რომ მღელვარება და გამოსვლები ინგლისის წინააღმდეგ ეგვიპტის სუდანში გრძელდება.

— **აჯანყება სამხრეთ ჩინეთში.** სამხრეთ-ჩინეთში აჯანყებამ იფეთქა.

— **ოსმალეთ-საფრანგეთის შეთანხმება.** საბერძნეთ-ოსმალეთს შორის დაიდვა შეთანხმება, რომლის ძალითაც ბერძნებისათვის ოსმალეთში უზრუნველყოფილია არსებობის უკეთესი პირობები.

— **გაფიცვა გავრში (საფრანგეთი).** გავრის ქალაქის თავმა მოწოდებით მიმართა მეზღვაურებს განაახლონ მუშაობა. გაფიცვა გრძელდება.

— **ერრიო ცვლილებებს ახდენს.** ერრიოს განზრახვა აქვს ცვლილებები მოახდინოს დიპლომატიურ კორპუსში. ერრიო აპირებს ზოგიერთი დიპლომატების შეცვლას თავისი მომხრეებით.

— **გვირაბი ტემზას ქვეშ.** ინგლისის ტრანსპორტს განზრახვა აქვს ტემზას (მდინარეა ინგლისში) გაიყვანოს გვირაბი.

— **გაფიცვა გავრში.** ხვალ განხილული იქნება გავრის გაფიცულ მეზღვაურთა მოთხოვნილებები.

— **სუდანში.** სუდანის ნავთსადგურში, იქ დაწყებული მღელვარების გამო, გაიგზავნა ინგლისის რამდენიმე გემი.

— **რომის „პაპა“ პოპულიარობას ეძებს.** რომის პაპამ 100.000 იტალიური ლირა გადასდო ჩინეთში. ტიან-ცზინის რაიონში წყალდიდობისგან დაზარალებული მოსახლეობის დასახმარებლად.

— **საალყო წესების გამოცხადება** მთელს სუდანში საალყო წესებია გამოცხადებული.

— **12.000 მუშის გაფიცვა.** ბრიუსელიდან მიღებული ცნობებით შრომის ხელფასის შემცირების გამო გაფიცვა გამოაცხადა მაღაროს 12.000 მუშამ.

— **უთანხმოება გლეხთა პარტიაში.** ბულგარეთის გლეხთა პარტიაში უთანხმოებაა. მემარცხენე ფრთა მოითხოვს კომუნისტებთან ერთიანი ფრონტის შექმნას.

— **კომუნისტების დევნა.** რუმინეთის პოლიცია სისტემატიურ დევნას აწარმოებს კომუნისტების მიმართ. ყოველდღე ასობით აპატიმრებენ მოქალაქეებს კომუნისტებისადმი თანაგრძნობისათვის.

— **ახალი აჯანყება ბრაზილიაში.** ბრაზილიაში ახალმა აჯანყებამ იფეთქა. ეს ცნობა დიდ შიშს იწვევს ნიუ-იორკში.

წითელ რესპუბლიკებში

რუსეთი

მანუფაქტურის გაიაფება.

მოსკოვი. 19 აგვისტო. შინა ვაჭრობის სახ. კომისარიატმა დაადგინა შემცირდეს კამვოლის ტრესტის ფასები ინგლისურ ქსოვილებზე საშუალოთ 19 პროცენტით, საპარატო ქსოვილებზე—17 პროც.-ით, სარჩულის ქსოვილზე—34 პროც.-ით, ნახევრად შალეულზე—14 პროც.-ით, ცხვირსახოცებზე და კამვოლის ქსოვილზე—8 პროც.-ით, „მოსკოვის შალის“ („მოსშელი“)—ნაწარმოების ფასები საშუალოთ შემცირებულია 6—30 პროც.-დე. სქელ შალეულობის ტრესტების ნაწარმოების ფასები შემცირებულია მარტის პრეისკურანტთან შედარებით 8 პროც.-ით.

ხოლერა და ჭირი.

მოსკოვი. 19 აგვისტო. უკანასკნელ ორი კვირი განმავლობაში ხოლერის შემთხვევები მთელ საბჭოთა კავშირში არ ყოფილა. არ ყოფილა აგრეთვე ჭირით დაავადების ახალი შემთხვევები. ჭირის ეპიდემია განისაზღვრა მხოლოდ ორი შემთხვევით სად. მანჯურიაში.

კოოპერაციის ზრდა.

მოსკოვი 19 აგვისტო. მოსკოვის სამომხმარებლო საზოგადოებათა კავშირის მუშაობას ამ უკანასკნელ ორი თვის განმავლობაში სასურველი შედეგები მოჰყვა. ბრუნვა, რომელიც იანვარში უდრიდა 5 მახ. მილიონ მანეთს, ივლისში 10 მილიონ მანეთამდე ავიდა. პირველი საფეხურის კოოპერაციისათვის კრედიტების მიცემა იანვართან შედარებით 2-ჯერ გაიზარდა და აღწევს 2 მილიონ მანეთს. მნიშვნელოვნად გადიდდა საქონლის ნისიად გაცემა მუშებზე. წინად თვეში ნისიათ ეძლეოდა 5000 მუშას; ივლისის პირველ ნახევარში კრედიტით დაკმაყოფილებული იქნა 6000 კაცი. გარდა ამისა გლეხობას მიეცა ინდივიდუალურ კრედიტის სახით 800.000 მანეთის თესლი და სასოფლო-სამეურნეო იარაღები.

რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირს ახალი ჟურნალი.

მოსკოვი. 19 აგვისტო. რუსეთის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის ცენტრალური კომიტეტი შეუდგა ჟურნალის გამოცემას ახალგაზრდა გლეხებისათვის. ჟურნალი გამოვა თვეში ორჯერ; ჟურნალი ემსახურება უმეტესად სოფლის ახალგაზრდობის ინტერესებს. ცეკამ მიმართა სოფლის მასწავლებლებს და ახალგაზრდობას მოწოდებით მიიღონ აქტიური მონაწილეობა ახალი ჟურნალის გამოცემაში.

დელეგატი ქალების არჩევა.

მოსკოვი. 19 აგვისტო. რუსეთის კომპარტიის ცეკას მუშა-ქალთა განყოფილებამ მიმართა საკავშირო რესპუბლიკების ყველა პარტორგანიზაციებს ცირკულიარით, რომელშიაც მოუწოდებს მათ შეუდგენ სექტემბრისათვის დელეგატ მუშა და გლეხ ქალების სრულიად საკავშირო არჩევნების ჩასატარებელ წინასწარ მუშაობას. დელეგატ-ქალების არჩევნები ქალაქებში უნდა მოხდეს სექტემბერში—საბჭოების ხელახალ არჩევნებთან ერთად.

საბინაო-საამშენებლო სესხი.

მოსკოვი. 20 აგვისტო. კოოპერატიულია საბინაო ამშენებლობა მოსკოვში აფართოებს თავის მუშაობას. დაწესებულებათა შეკეთება შესრულებულია 60 პროც.-ით. სამუშაოების შესასრულებლად მოსკოვის საბჭომ გადასდო 400.000 მანეთი. საბინაო-საამშენებლო სამუშაოთა გასაძლიერებლად გამოშვებულია საბინაო—საამშენებლო სესხი 10 მილ. მანეთი ოქროთი, 15 წლის ვადით 1924 წ. 1 ოქტომბრიდან 1939 წლ. 1 ოქტომბრამდე.

სესხის რეალიზაცია მოხდება თავისუფალი ხელის მოწერით მშრომელთა მასებს შორის, რომლებიც გაერთიანებული არიან პროფესიონალურ და კოოპერატიულ ორგანიზაციებში და საბინაო ამხანაგობებში.

მოსკოვის საბჭოს სხდომა

ამხ. რაკოვსკის მოხსენება

ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების შესახებ

მოსკოვი. 21 აგვისტო, პროფკავშირთა სახლის დარბაზში, რომელიც სავსე იყო მოსკოვის საბჭოს წევრებით, მუშათა ორგანიზაციების წარმომადგენლებით და მოსკოვის ოლქის გლეხებით, საბჭოთა კავშირის დელეგაციის თავმჯდომარემ ამხ. რაკოვსკიმ გააკეთა მოხსენება ლონდონში დადებულ ხელშეკრულების შესახებ.

ტრიბუნაზე ადიან ამხ. კამენევი, ჩიჩერინი და რაკოვსკი, რომელთაც დამსწრეები ხანგრძლივ ოვაციებს უმართავენ.

ამხ. კამენევი, რომელიც ხსნის სხდომას, ხაზს უსვამს იმ გარემოების განსაკუთრებულ მნიშვნელობას, რომ ხელშეკრულება დადებულ იქნა ინგლისის მუშათა კლასის დახმარებით და კონტროლით.

ეს ხელშეკრულება, ეკონომიური მნიშვნელობის გარდა, მოწმობს ინგლისის და საბჭოთა კავშირის მუშების სოლიდარობის განმტკიცებას.

ამხ. რაკოვსკი თავის მოხსენებაში ამბობს, რომ პირველად მოლაპარაკება ძნელ პირობებში მიმდინარეობდა, ვინაიდან ინგლისის მხრივ წარმოდგენილ იქნა ისეთი მოთხოვნილებები, რომლებიც ფაქტიურად წარმოადგენდენ რევოლიუციონური კანონმდებლობის გაუქმებას. საბჭოთა დელეგაციამ კატეგორიულად განაცხადა, რომ ხელშეკრულება დადებული იქნება მხოლოდ ურთიერთ სარგებლიანობის და სესხის მიღების საფუძველზე.

ეხება რა დაწვრილებით მოლაპარაკების ისტორიას, ამხ. რაკოვსკი განმარტავს ხელშეკრულების საფუძვლებს, რომლებიც მდგომარეობს იმაში, რომ ჩვენი კანონმდებლობიდან გამონაკლისის სახით, ჩვენ თანახმა ვართ დავაკმაყოფილოთ ინგლისელ მოქალაქეების პრეტენზიები იმ ფასიანი ქაღალდების განაღდების პირობით, რომლებიც შეძენილი აქვთ მევალეებს ინგლის-საბჭოთა კავშირის პირველი ხელშეკრულების დადებამდე—1921 წლამდე. პრინციპიალურად ქაღალდების განაღდება არ იქნება სრული; ამას გარდა სპეციალურმა კომისიამ უნდა გამოარკვიოს დასაკმაყოფილებელი პრეტენზიების რაოდენობა. კომისიამ აგრეთვე უნდა გამოძებნოს გზები ნაციონალიზაციაქმნილი საკუთრების საკითხის გადასაწყვეტად. ინგლისის მთავრობამ იკისრა დაიცვას პარლამენტის წინაშე საბჭოთა კავშირისათვის სესხის გარანტიების მიცემა. ამხ. რაკოვსკი ხაზს უსვამს ინგლისის მუშათა პარტიის, მუშათა დეპუტატების და ჟურნალისტების ღვაწლს მოლაპარაკების წარმატებით დამთავრების საქმეში და ღრმა რწმენას გამოსთქვამს იმაში, რომ ხელშეკრულება დამტკიცებული იქნება, ვინაიდან ამას მოითხოვს მუშათა კლასი და ფართო მასების საზოგადოებრივი აზრი.

ამხ. ჩიჩერინის სიტყვა

მოსკოვი. 21 აგვისტო. მოსკოვის საბჭოს საზეიმო სხდომაზე კავშირთა სახლში ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულების შესახებ ამხ. რაკოვსკის შემდეგ სიტყვას ამბობს ამხ. ჩიჩერინი, რომელსაც ხანგრძლივი ტაშით ეგებებიან. ამხ. ჩიჩერინი ამბობს, რომ საბჭოთა კავშირთან დაახლოვების აუცილებლობა ნაკარნახევი იყო მწარე სინამდვილით, კაპიტალისტურ ქვეყნებში გაძლიერებულ უმუშევრობით და ეკონომიურ კრიზისით. ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება არის 5 წლის ბრძოლის ერთ-ერთი შედეგთაგანი. საბჭოთა კავშირი ყველას თვალწინ იზრდება. ჩვენი მეურნეობა აღორძინების გზაზეა, ხალხთა მჭიდრო კავშირი ძლიერდება, კომუნისტური პარტია უფრო მტკიცედ, ვიდრე ოდესმე მართავს ქვეყანას. ჩვენი საერთაშორისო მდგომარეობა განმტკიცდა, რაც ამტკიცებს ჩვენ მიერ არჩეულ გზის სისწორეს და ამართლებს ოქტომბრის რევოლიუციას.

ინგლ პარლ წე სიტ

ინგლისის პარლამენტის წევრის სიტყვა

ინგლისის პარლამენტის დეპუტატი სიუზანა ლაურენსი ესალმება საბჭოს ინგლისის მუშათა პარტიის სახელით და ხაზს უსვამს, რომ ხელშეკრულების ხელისმოწერას დიდი კმაყოფილებით შეხვდენ ინგლისის მშრომელები.

ბუხარას წარმომადგენლის სიტყვა

ლაურენსის შემდეგ სიტყვას ამბობს ბუხარას სახალხო რესპუბლიკის სრულუფლებიანი წარმომადგენელი იუსუფზადე, რომელიც გამოსთქვამს ბუხარას ხვარაზმის და თურქესტანის ხალხების სიხარულს ინგლის-საბჭოთა კავშირის მოლაპარაკების წარმატებით დასრულების გამო.

რეზოლიუცია

მიღებულ რეზოლიუციაში მოსკოვის საბჭო აღნიშნავს, რომ ხელშეკრულება წარმოადგენს უდიდეს ფაქტორს საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობის განმტკიცების გზაზე. ინგლისის დარაზმულ პროლეტარიატის აქტიური მონაწილეობა ხელშეკრულების დადების საქმეში წარმოადგენს მუშათა საერთაშორისო კლასიურ სოლიდარობის საუკეთესო გამოხატულებას. ინგლისის და საბჭოთა კავშირის მშრომელ მასების პრაქტიკული თანამშრომლობა უცილებელ გავლენას მოახდენს მსოფლიოს ურთიერთობაზე ყველა ქვეყნების მშრომელთა ინტერესების მიხედვით. მოსკოვის საბჭო ესალმება საბჭოთა დელეგაციის სიმტკიცეს საბჭოთა კავშირის და რევოლიუციის მონაპოვართა ინტერესების დაცვის დროს და გამოსთქვამს რწმენას, რომ მომავალშიაც საბჭოთა დელეგაცია შემდეგ მოლაპარაკების დროსაც გამოიჩენს შეურყეველ სიმტკიცეს და ასწონ-დასწონის და შეუფარდებს შეთანხმებისათვის აუცილებელ დათმობებს ამ შეთანხმებიდან გამომდინარე სარგებლიანობას საბჭ. კავშირის მშრომელ მასების ინტერესების მიხედვით.

ჩვენი ბიუჯეტი

„პრავდა“-ს წერილი

მოსკოვი. 20 აგვისტო „პრავდა“ მოწინავე წერილში „ჩვენი წლიური ბიუჯეტი“ აღნიშნავს:

„ამ ჟამად სრულდება განხილვა საერთო საკავშირო ბიუჯეტისა 1924—1925 წლისათვის. ის წინასწარმეტყველება, რომელსაც ადგილი ჰქონდა ჩვენი მტრების მხრივ ფულის რეფორმის მოსალოდნელი ჩაშლის შესახებ, სრულებით არ გამართლდა. ჩვენ არა თუ გადავედით მტკიცე ფულის ნიადაგზე, არამედ კიდეც გავმაგრდით მასზე, ამიტომ ბიუჯეტს მომავალი წლისათვის ვადგენთ ისე, რომ იქ სავსებით გამორიცხულია ემისია საშემოსავლო მუხლების რიცხვიდან. საშემოსავლო ნაწილს შეადგენენ გადასახადები, შემოსავალი მრეწველობიდან, სახელმწიფო ქონებიდან და სესხებიდან. გასავლის ნაწილში ჩვენ ვხედავთ, რომ საგრძნობლად გადიდებულია თანხები, რომლებიც უნდა მოხმარდეს სახალხო განათლებას. ამიტომ შესაძლებელი ხდება სოფლის მასწავლებლის მდგომარეობის გაუმჯობესება. მრეწველობისათვის თანხების გაღების დარგში სერიოზული ყურადღება ექცევა ლითონის მრეწველობას; გადადებულია საშუალებები ამ წარმოების გასაფართოებლად და გასაუმჯობესებლად გადიდებულია ის თანხებიც, რომლებიც გაღებული უნდა იქნეს სასოფლო მეურნეობის საჭიროებისათვის. რის გამო შესაძლებელი ხდება მთელ რიგ გაუმჯობესებების მიღწევა.

ჩვენი წლიური ბიუჯეტი ამტკიცებს, თუ რამდენად გაძლიერდით ჩვენ უკანასკნელი ერთი წლის განმავლობაში. შინაური სესხები ბიუჯეტის ბალანსში ნაკლებ როლს თამაშობენ, და შეიძლება ითქვას, რომ ჩვენ ვცხოვრობთ სავსებით ჩვენი საბჭოთა მეურნეობიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე“.

კონცესიები

მოსკოვი, 20 აგვისტო. საბჭოთა კავშირის სახალხო კომისართა საბჭომ დაამტკიცა საკონცესიო ხელშეკრულება ბრიკერის სავაჭრო სახლთან. კონცესიონერს მიეცა საექსპლოატაციოთ ვერცხლ-ცინკის, ტყვიის, სპილენძის და სხ. მადნეულობა პრიმორიეს გუბერნიის ოლგას მაზრაში. კონცესიონერი იხდის ერთდროულად 80.000 მანეთს, შემდეგ ყოველ ნახევარი წლის განმავლობაში სათანადო ნაწილობრივ გადარიცხვას. კონცესიონერი ვალდებულია დახარჯოს საცდელ-საძიებელ მუშაობაზე 200.000 მანეთი. მოაწყოს ფაბრიკები და მაქსიმუმამდე აიყვანოს მათი პროდუქცია. მთავრობას რჩება ლითონების და მადნეულის შეძენის უპირატესი უფლება. კონცესია გაცემულია 36 წლით. ამასთანავე მთავრობას შეუძლია ვადის გასვლამდე, 25 წლის შემდეგ შეისყიდოს წარმოებანი. ვადის გასვლის შემდეგ მთელი წარმოება და ქარხნები გადადის მთავრობის ხელში.

ამიერ-კავკასიის ფედერაციაში

საქართველო

აფხაზეთი

ტყვიის და ვერცხლის მადნი.

სოხუმი, 21 აგვისტო. [illegible] ინჟინერთა სპეციალური კომისია, რომელიც გამოგზავნილია ლენინგრადის გეოლოგიური კომიტეტის მიერ. კომისიამ უნდა დაათვალიეროს ტყვიის და ვერცხლის მადანი მუმისტინის და გუდაუთის მაზრებში.

აფხაზეთის შესწავლა.

სოხუმი. 19 აგვისტო. წავიდა მთებზე ტიმირიაზევის სახელობის ბიოსადგურის ახალგაზრდა ნატურალისტების ექსკურსია პროფესორ პანიუტინის მეთაურობით. ექსკურსიის მიზანია აფხაზეთის ყოველმხრივი შესწავლა. ამჟამად ექსკურსია გამოიკვლევს სამკურნალო მჟავე წყაროს ბზიბის დასაწყისთან.

კოოპერაციის განვითარება.

სოხუმი. 19 აგვისტო. უკანასკნელი 3—4 თვის განმავლობაში სოხუმის ერთიან სამომხმარებლო საზოგადოების წევრთა რიცხვი და ბრუნვა გაიზარდა 3 ჯერ. გაიზარდა ქალაქის დუქნებში მყიდველ-გლეხების რიცხვი. მრავალ სოფლებში იხსნება პირველი საფეხურის კოოპერატივები. არსებულ კოოპერატივების ბრუნვა ყოველგან გაიზარდა. გუდაუთის მაზრაში სოფელ ლიხნის და ევანდრიპშის გლეხებმა მოაწყვეს საზოგადოება „ამჯანსად“, რომელშიაც უკვე შედიან წევრებით დაახლოვებით 250 მევენახე და მეღვინე.

დაპატიმრება.

სოხუმი. 19 აგვისტო. დააპატიმრეს მოიჯარადრე კრივენცევი, რომელსაც გაუხრწნია ექვსი ქალიშვილი, 13 დან 14 წლის ჰასაკში მყოფი. სწარმოებს გამოძიება.

აზერბაიჯანი

[illegible]

ბაქო. 16 აგვისტო. [illegible] მისი ელექტროფიკაციის ბაქოს საბჭოს განკარგულებაში გადაცემის შესახებ. ამიერ-კავკასიის რკინის გზის სამმართველო არ დაეთანხმა საბჭოს პირობას წყლის შეღავათ ფასებში მიწოდების შესახებ.

ბაქოს ტრამვაი.

ბაქო. 13 აგვისტო შეუდგენ [illegible]ან მუშაობას მთელს ქალაქში ტრამვაის ლიანდაგების გასაყვანად. [illegible] დღეებში დაიწყება შემახიის ხაზის ექსპლოატაცია.

სომხეთი

ლენინგრადის მუშების შეფო

ერევანი. 19 აგვისტო. ლენინგრადის მუშათა დეპუტატების საბჭომ, მიიღო რა სომხეთის განათლების სახალხო კომისრის ამხ. მრავიანის მოხსენება სომხეთის სასკოლო საქმის მდგომარეობის შესახებ, დაადგინა მიიღოს თავის თავზე შეფობა სომხეთის სკოლებზე. გადაწყდა ლენინგრადში არსებული სომხეთის ყოფილი ეკლესიის შენობა მთელი თავისი შემოსავლით მოხმარდეს სომხეთის განათლების საქმის გაუმჯობესებას და გაფართოებას.

ძმური დახმარება.

ერევანი. 19 აგვისტო. თანახმად იმ შეთანხმებისა, რომელიც მიღწეულ იქნა სომხეთის და აზერბაიჯანის ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირებს შორის იმ ლიტერატურის გაცვლა-გამოცვლის შესახებ, რომელიც გამოდის ორივე რესპუბლიკაში ერევანში მიღებულია ლიტერატურა თურქულ ენაზე ბაქოდან ახალგაზრდა ლენინელთა კომკავშირის თურქულ სექციებში და უჯრედებში გასავრცელებლად.

მფრინავი რაზმები

ერევანი, 19 აგვისტო. [illegible] გაიხსნა ტროპიკული ხადგური, რომელსაც ჰყავს ოთხი მფრინავი რაზმი სოფელ უზუნტალაში, კოტში, [illegible]კარში და კოშკოტანში.“

ამხ. მიხა ცხაკაიას მოხსენება ბორჯომში

ბორჯომი. 20 აგვისტო. გუშინ, ბორჯომის მუშების, მოსამსახურეების და ქართული ლაშქრის პოლიტიკური სკოლის კურსანტების მრავალრიცხოვან მიტინგზე ამიერ-კავკასიის ცაკის თავმჯდომარემ ამხ. მიხა ცხაკაიამ გააკეთა მოხსენება საერთაშორისო მდგომარეობის შესახებ. „ინგლისის საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება, აცხადებს ამხ. ცხაკაია —არის საბჭოთა ხელისუფლების უდიდესი გამარჯვება წითელმა. დიპლომატიამ ქედი მოახრევინა ბურჟუაზიას საბჭოების წინაშე.

ჩვენი გამარჯვება უზრუნველჰყო ჩვენმა შეკავშირებამ, ჩვენი წითელი არმიის სიძლიერემ და ინგლისის მუშების ზეგავლენამ თავის მთავრობაზე.

ჩვენს უახლოეს ამოცანას წარმოადგენს ჩვენი მეურნეობის სწრაფოდ აღდგენა: ამაშია გარანტია ჩვენი გამარჯვებისა მსოფლიო მასშტაბით.

ინგლის-საბჭოთა კავშირის ხელშეკრულება კარგი გაკვეთილია ჩვენი მოსაზღვრე წვრილი სახელმწიფოებისათვის“.

მიღებულია ერთსულოვანი რეზოლიუცია, რომელიც ესალმება კომპარტიას და აღუთქვამს მას თავისი გულმკერდით დაიცვას მომავალი მსოფლიო რევოლიუცია.

პარტიული ცხოვრება

პარტმუშაობა სოფ. ნატებერეთში (სენაკის მაზრა)

სოფელში არსებობს პარტიის უჯრედი, რომელიც აერთიანებს 11 წევრს და 1 კანდიდატს. კომკავშირის უჯრედი აერთიანებს 28 ამხანაგს. პოლიტ-წრეში მეცადინეობას აწარმოებს სოფლის მასწავლებელი ახალგაზრდა, მაგრამ მეტად ენერგიული და მუყაითი ამხანაგი არისტრახო თოფურია.

კომუჯრედის სხდომები ხდება ადგილობრივ კლუბის შენობაში, კრებები ხდება არა სისტემატიურათ, უჯრედი მოკლებულია სათანადო პრაქტიკულ გამოცდილებას, ამიტომ სოფლის ცხოვრებას ვერ უღებს ალღოს, ვერ ხელმძღვანელობს სოფლის საბჭოთა ორგანიზაციებს როგორიც არის; გლეხკომი, კლუბი, წერა-კითხვის უცოდინართა სალიკვიდაციო სკოლა, შრომის სკოლა და სხვა.

უკანასკნელებთან უჯრედს არ აქვს კავშირი. გარდა ამისა უჯრედის ტექნიკური მუშაობაც არ არის მოწესრიგებული. არ არსებობს სისტემა უჯრედის წევრების მიერ პარტიული მოვალეობათა შესრულების შესახებ, რაიც ცუდათ მოქმედობს დისციპლინაზე. კრებებს ხშირად არ ესწრებიან უმიზეზოთ, უჯრედის ოქმები [illegible]ულია და ვერ არის წესიერათ დაცული და სხვა, დღემდე არც უჯრედს არ ყავდა პარტ-კორესპონდენტი, არც სოფელს ყავდა გლეხკორი, რის გამოც პრესაში არ შუქდებოდა სოფლის ცხოვრება და საერთოდ პარტიული, პოლიტიკური და კულტურული მუშაობა.

საჭიროა რაიპარტკომის მეტი ყურადღება, რომ არსებული დეფექტები გამოსწორდეს, ამიტომ არა კმარა მარტო ცირკულიარების გზავნა უჯრედებში, ან მარტო უჯრედის მდივნების თათბირების მოწვევა, არამედ საჭიროა თვით რაიპარტკომის წარმომადგენლის ან მდივნის მიერ სოფლის უჯრედების დათვალიერება და მათი შესწავლა პრაქტიკული მითითებები-დარიგებების მიცემა ადგილობრივათ, რათა გაიზარდოს უჯრედის თვითმოქმედება და ინიციატივა. სოფლის უჯრედების წევრები კუდში კი არ უნდა მოექცენ უპარტიო მასსას, არამედ როგორც მოწინავე ამხანაგებმა ხელმძღვანელობა უნდა გაუწიონ სოფლის ცხოვრებას.

ნატებერეველი კლემენ

კომკავშირის უჯრედი გიორგიწმინდაში (გარე-კახე

ეს უჯრედი სულ რამოდენიმე კვირაა, რაც დაარსდა. მასში ირიცხება 10 წევრი. უჯრედის წევრები აქტიურ მონაწილეობას იღებენ საბჭოთა ამშენებლობაში, უჯრედის 3 წევრი შედის ადგილობრივ საბჭოში. 1 წევრი გლეხკომში მუშაობს და სხვა. კლუბი დღემდე აქ არ არსებობს, მაგრამ ამ გლეხკომმა დაუთმო შენობა უჯრედს საკლუბო მუშაობისათვის. უჯრედს აქვს თავის ქოხ-სამკითხველო, რომლის გაფართოვებისათვის უჯრედის წევრები ენერგიულად მუშაობენ.

ი. გ.

„შაბათობა“ ასურეთში (თბ. მაზრა)

14 აგვისტოს ასურეთის ახალშენში გაიმართება რაიპარტკომის პას. მგ. მდივნის ამხ. მ. ბებურიშვილის ინიციატივით „შაბათობა“. დაახლოვებით 2 საათისთვის. იყო შეგროვება ყველა საბჭოთა და პარტიულ დაწესებულების მოსამსახურეებმა პარტკომის წინ. შეგროვილ ამხანაგების სიმღერა-გალობა, ცეკვა და თამაში ამხიარულებდა არე-მარეს. აი უკვე შესრულდა ორი საათი და ყველა ამხანაგები, თოხებით, ბარებით და ნიჩბებით მწყობრად გაემგზავრნენ იქვე მახლობლად წყაროსაკენ, სადაც გლეხები მუშაობდენ. გზაში ისმოდა რევოლიუციონური სიმღერა, „მებრძოლნო, გავსწიოთ მწყობრად“ და სხვა. აი უკვე მიუახლოვდა მხიარული ჯგუფი დანიშნულ ადგილს, [illegible] იქვე მომუშავე გერმანელების ჯგუფს, სიმღერით და ყიჟინით გაშალნენ და დაიწყეს მუშაობა. აღსანიშნავია ის გარემოება, რომ ყველა ამხანაგები ერთი მეორეს აღარ [illegible]ლიდა მუშაობას და დაკვრითი წესით ხელად გაასუფთავეს და შეაკეთეს წყარო.

აი უკვე გაკეთდა მილიც, საიდანაც მხიარულად დაიწყო დენა წყალმა. დაქანცული მუშები სიამოვნებით იგრილებდენ გულს ანკარა ცივ წყლით. საღამო ხანზედ ასევე მწყობრად, სიმღერა-გალობით გამოემგზავრა ეს პატარა ჯგუფი მომუშავე ამხანაგებისა კალონიისაკენ და მხიარულად დაიშალენ.

შ. კახიანი.

სასოფლო მეურნეობა

საქონლის გადამდები სნეულებანი გორის მაზრაში

გორის მაზრაში ამ ჟამად გავრცელებულია საქონლის სნეულებანი, რომელთაგანაც ყველაზედ უფრო ძალიან არის მოდებული მაზრის დაბლობ სოფლებში პიროპლაზმოზი, ანუ უფრო გასაგებათ რომ ვსთქვათ საქონლის მალარია. ადგილობრივი ხალხი ავადმყოფობას ჭიჭინას უძახის მითი არჩევს სხვა გადამდებ სენისაგან, რომ ავადმყოფ საქონელს რდი უშავდება და საშინელს სიცხე აძლევს. ეს ავადმყოფობა გვალვიანს წლებში იცის ხოლმე და მისი გამავრცელებელია პატარა ტკიპები, რომელნიც უმეტესად ლაჯებს შუა ასხედ მიეკვრის ხოლმე საქონელს. ოთხის წლის დაკვირვებამ დამანახვა, რომ რაც დრო გადის გორის მაზრაში ის უფრო და უფრო ვრცელდება და მატულობს და ყოველი ახალის წლით უფრო და უფრო დიდი მსხვერპლი მოაქვს მესაქონლეობისათვის.

ოთხი წლისავე დაკვირვებამ და ავალმა ცდამ დამარწმუნა, რომ ამ საშინელის სენთან საბრძოლველად უტყუარია სულემის 1 პროც. ხსნილი, რომელიც შიგ შუა ძარღვებში ღრმათ უნდა ჩაესხას საქონელს 10,0 თითო სულს. იქ სადაც ბევრი ავადმყოფი საქონელია, ჩვენ მათ სა[illegible] დღის განმავლობაში ამ ხსნილს ვასხავთ და ვასმევთ ფხვნილს Natr salicil შედეგი მშვენიერია, 80 პროც. რჩება. დანარჩენს საქონელს არა ავადმყოფს და მხოლოდ საეჭვოს, ვუკეთებთ თითოჯერ ღრმათ ამგვარ ხსნილს სულემისას ვახილვინებთ მთელს საქონელს ამ ტკიპებისაგან, რომელნიც დაუყოვნებლივ ცეცხლში იწვიან და დღე გამოშვებით უსვამთ უმთავრესად ლაჯებს შუა ნავთსა და კრეოლინს სანახევროდ ერთმანეთში არეულს. შედეგი ყველგან მშვენიერია და საჩქაროდ მოისპო ავადმყოფობა, საცა კი ჩვენი რჩევა-დარიგება ხალხმა შეასრულა. გულმხურვალედ ვურჩევთ ამხანაგ ვეტ-ექიმებს იხმარონ ეს ჩვენ მიერ უკვე ნაცადი საშუალება.

მეორე გადამდები სნეულება, რომელიც განსაკუთრებულის ძლიერებით წრეულს ეწვია ჩვენს მაზრას, გახლავთ ციმბირის წყლული, რომელსაც ადგილობრივ ხუზარას, ყვავილს და ბედნიერას ეძახიან. ეს ავადმყოფობა საქონლიდან კაცებსაც გადაედო, ქვემო ჭალაში ხუთს, კასპში სამს, იმსხვერპლა ერთი.

საყურადღებო იყო ერთი ამ ავადმყოფთაგანი: ხელებზე და ფეხებზე ოცს ადგილას ჰქონდა წყლული.

დავინტერესდით ამ გარემოებით და რა აღმოჩნდა, ავადმყოფი წინა დღით ჭაობიანს ადგილში არხზე მუშაობდა, სადაც კოღოებს დაეკბინათ, საღამოთი შინ რომ მისულიყო თურმე ძროხა უკვდებოდა, წააქცია სულმობრძავი საქონელი დაჰკლა და გამოშიგნა. ამ მუშაობის დროს ხელფეხი მოისვარა სისხლში და სადაც კოღოებს ეკბინათ ყველგან წყლულები გაჩენოდა. მაგრამ საკვირველება კიდევ ის იყო, რომ ამდენ წყლულებით სავსე ადამიანი, რომელსაც ძრაკი არ შეეძლო სამკურნალო შრატის მარტო ერთი შეშხაპუნებით 20,0 მეორე დღესვე ფეხზე წამოდგა. შრატი დამზადებული იყო საბჭოთა თბილისის სავეტერინარო ლაბორატორიაში. აშკარაა, რომ ლაბორატორია მეტად კარგის ღირსების შრატს ამზადებს.

მაგრამ არც ერთს ავადმყოფობას არა მალავს ხალხი ისე როგორც ამ ავადმყოფობას. ხალხში გავრცელებულია ცრუმორწმუნოება, რომ თუ ექიმი ჩაერია მის მორჩენაში თავისის წამლებით, ავადმყოფობა მაშინ გაძლიერდება და დიდ ზარალს მიაყენებს ხალხსაო. ის მიამიტობით და ლოცვა-კურთხევით და სხვა შელოცვებით და სამხთოებით უნდა მოვიშოროთო. სწორედ ამის გამო ერთს სოფელში სადაც ავადმყოფი საქონელი დაეკლათ და ეჭამათ, რისგანაც ისინი გამხდარიყვნენ ავად ორი უკვე გადაცვლილიყვნენ, დიდი სამლოთო გადუხდნიათ, გაეკეთებინათ თიხისაგან რაღაც კაცის მინაგზასი, წაეღოთ მღვდლის წინ გაძღვებით შორს ტყეში და იქ დაესაფლავებინათ. მეორე სოფელში კიდევ დაჭრიანებულს ბოსლებში მღვდელი საცეცხურით დადიოდა თურმე საკმელს უკმევდა და რაღაც ლოცვებს უკითხავდა. და ამ გვარად სასულიერო მამანი იმის მაგიერ რომ გლეხის სიბნელეს შეებრძოლონ და ხალხს ექიმთან გამოასწავლონ, პირიქით, თითონ უფრო უბნელებენ და უხშობენ გზას.

მაგრამ ხალხი თან და თან ერკვევა, ეჩვევა წამლობს და წელს უკვე პირველად ოთხი სოფელი აიცრა ციმბირის საწინააღმდეგო ვაქცინებით, რომელიც მშვენივრად ჩატარდა ეს ოთხი სოფელი მაგალითი იქნება სხვა სოფლებისათვის; მათი მაგალითით სხვებიც შეეჩვევიან საქონლის წამლობას და აღარაფერს დაუჯერებენ სოფლის მღვდლებსა და მკითხავებს.

შირინბეი.

სენაკის მაზრაში ციმბირის წყლული აღმოფხვრილია

ამ უკანასკნელათ გაზეთებში თავსდება ცნობები, რომ საქონლის ჭირი სენაკის მაზრაში მუსრს ავლებს მსხვილფეხა საქონელს, ეს ცნობები გადამეტებულია.

წელს სენაკის მაზრაში ციმბირის წყლული გაჩნდა 25 მაისიდან; სენმა ძალიან ფართო ხასიათი მიიღო ივნისის ბოლო რიცხვებში. მაზრის თითქმის ყველა თემში იჩინა თავი აღნიშნულმა სენმა.

სამაზრო აღმასკომთან დაარსებულ იქნა ჭირთან მებრძოლი სამეული, რომლის სავალდებულო დადგენილების თანახმად 19 ივნისიდან დაკეტილ იქნა ხორცის სავაჭრო დუქნები. სენაკის მაზრის თითქმის ყოველ თემში გამოცხადებულ იქნა კარანტინი.

სამაზრო აღმასკომი არ ერიდებოდა ხარჯებს, რომელიც საჭირო იყო ვეტპერსონალის მაზრაში სასწრაფოდ მიმოსვლისათვის; ვეტპერსონალი აწყობდა ლექციების კითხვას, აწვდიდა სოფლის მუშას და გლეხს დარიგებას სენის საწინააღმდეგო ზომების მისაღებათ და აწარმოებდა საქონლის აცრას. ციმბირის წყლულის საწინააღმდეგო ვაქცინებს მაზრას აწვდი და მიწ. მოქ. სახ. კომისარიატის ვეტსანგანყოფილება სრულიად უფასოდ და პირველ მოთხოვნილებისთანავე.

25 მაისიდან 1 აგვისტომდე აღნიშნულ სენისაგან მაზრაში დაიხოცა 54 სული მსხვილფეხა საქონელი.

სულ მაზრაში აცრილ იქნა 8,22 სული საქონელი.

აცრის შემდეგ საქონლის სიკვდილს ადგილი არ ქონია.

1 აგვისტოდან 12 აგვისტომდე ახალი შემთხვევა, საქონლის ციმბ. წყლულით დაავადება ან სიკვდილი არ ყოფილა. ასე რომ სენაკის მაზრაში წყლულის ეპიზოოტია 1 აგვისტოდან ჩანელდა.

სენაკის მაზრის ექიმი—ვეტერინარი **ბარათაშვილი.**

სახელმწიფო სტატისტიკის გასაუმჯობესებლად

(სახელ. გეგმ. სამართველოს ეკონ. სტატ. სექციის ცნობებით).

ა|კ. გეგმათა სამმართველოს ეკონომიურ-სტატისტიკური სექციის ინიციატივით გაიმართა თათბირი, სახელმწიფო სტატისტიკის გაუმჯობესების შესახებ. თათბირს დაესწრენ სხვადასხვა უწყებათა წარმომადგენელნი, მათ შორის ა|კავკასიის საქართველოს, აზერბეიჯანის და სომხეთის ცენტრალურ სტატისტიკურ სამმართველოების წარმომადგენელნი.

ა|კ. ცენტრ. სტატისტ. სამმართველოს გამგემ ამხ. გრიგორიანმა წაიკითხა ვრცელი მოხსენება სახელმწიფო სტატისტიკის მნიშვნელობის შესახებ და გააცნო თათბირს 1924—25 წლისთვის აქ განზრახული სტატისტიკურ მუშაობათა გეგმა, ხოლო სტატისტიკის ზოგიერთი დარგებისათვის მომხსენებლის მიერ გათვალისწინებულ იქნა 5 წლის მუშაობის გეგმაც.

ა|კ-ში სტატისტიკურს მუშაობათა საპერსპექტივო გეგმის ყოველმხრივი განხილვის შემდეგ, თათბირმა ა|კ. ცენ. სტ. სამართველოს მიერ გამომუშავებული გეგმა მოიწონა და ამასთანავე დაადგინა ეთხოვოს ა|კ სტატ. სამმართველოს გამოიმუშავოს სამუშაო პროგრამა ა|კავკასიაში განზრახული სტატისტიკურ მუშაობისათვის. პროგრამა განხილული იქნება გეგმათა სამმართველოს ეკონომ. სტატისტიკურ სექციის პლენარულ თათბირზე.

ზემოხსენებულმა სტატისტიკურმა თათბირმა საფუძველი ჩაუყარა სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს და სახელმწიფო სტატისტიკის იმ შეთანხმებულ მუშაობას, რომლის საჭიროება აღიარებული იყო რ. კ. პ. მე-13 ყრილობის ერთ-ერთ რეზოლიუციაში, სადაც გარკვევით არის ნათქვამი:

1) საჭიროა სახელმწიფო გეგმათა სამმართველოს როლის გაძლიერება შრომის და თავდაცვის საბჭოსთვის რეალურ სამეურნეო გეგმათა გამომუშავების საქმეში, რომელიც მიზნად ისახავს სამეურნეო კონიუნქტურის სისტემატიური შესწავლის საფუძველზე სახალხო მეურნეობის ელემენტების ერთმანეთთან დაკავშირებას და საბაზრო ურთიერთობათა მოწესრიგებას.

2) სახელ. გეგმათა სამმართველოს მუშაობასთან საჭიროა მჭიდროთ დაუკავშირდეს ფინ. სახ. კომის., ს. მ. უ. ს.-ს შინა ვაჭრობის სახ. კომის და სხვა სამეურნეო სახ. კომისარიატების მუშაობა. ამავე დროს ცენ. სტატ. სამართველოების მუშაობის გეგმა აუცილებლად უნდა შეუთანხმდეს სახელ. გეგმათა სამმართველოს მუშაობის გეგმას.

3) საჭიროა გეგმათა სამმართველოს ახალი მუშაკებით გაძლიერება.

საბჭოთა რესპუბლიკების ექსპორტი

საქართველოს სტატისტიკის ცენტრალურ სამმართველოს ცნობებით, მიმდინარე წლის პირველ ნახევარში საბჭოთა რესპუბლიკების მიერ საქართველოს საბაჟოებით იყო საზღვარ-გარეთ გატანილი 37497,8 ათ. ფუთი საქონელი, რომლის ღირებულებაც უდრიდა 1913 წლის ფასებში—20,935,7 ათას მანეთს.

შედარებით წინა წლების გატანასთან, აღნიშნული რაოდენობა შემდეგ მიმართებაშია (ათასობით)

წლები	ფუთი	მანეთი
1909—13 5	91.937,1	47,220,
1922	16.947,9	13:934.5
1923	34.989.1	19.823,6
1924 წ. პირ. ნახ.	37.497.8	20.935.7

მიმდინარე წლის პირველი ნახევრის გატანა მნიშვნელოვნად მეტ რაოდენობას იძლევა, ვიდრე 1923 წლის გატანა და უფრო მეტს კი, ვიდრე 1922 წლის.

შედარებით მშვიდობიან დროის გატანასთან, წრევანდელი ექვსი თვის გატანა შეადგენს წონის მიხედვით 40,8 პროც. ხოლო ღირებულების—44,3 პროც.

ამნაირად, **წრევანდელი ექსპორტი მნიშვნელოვანი ტემპით ვითარდება და თუ ასევე გაგრძელდა წლის დამლევამდე, 1924 წელს გატანა—უკვე 4|5 მეტს შეადგენს მშვიდობიანი დროის გატანის.**

1924 წლის წლის პირველ ნახევარში გატანილი რაოდენობა—საქონლის უმთავრესი ჯგუფის მიხედვით შემდეგ სურათს იძლევა (ათასობით):

საქონ. ჯგუფები	ფუთი	მანეთი
1. საარსებო საგ.	1.006.6	1.478.8
2. ნედლი და ნახ. დამუშავებული საქონელი	36.489.7	19.412.4
3, ნაწარმოები საქარხნო-საფაბრიკო და სახელოსნო	1,4	44.5
4. დაუსახელებელი	0.1	—
სულ	37.497.8	20.935.7

წრევანდელ გატანაში, ისევე როგორც წინა დროის, მთავარი ადგილი უჭირავს ნედლ და ნახევრად დამუშავებულ საქონლის გატანას 36,5 მილ. ფუთი, ანუ 97 პრო. მთელი გატანის 19,4 მილ. მანეთის ღირებულებით, რაც მთელი გატანილ საქონლის ღირებულების 93 პროც. შეადგენს.

გატანაში მეორე ადგილი უჭირავს საარსებო საგნების გატანას—3 პრ. წონის და 7 პროც. ღირებულების, ხოლო დანარჩენ ჯგუფებს უმნიშვნელო ადგილი უჭირავთ.

გატანის უმთავრესი საგნები იყო—საარსებო საქონლის ჯგუფიდან—სიმინდი 902 ათასი ფუთი.—640,5 ათასი მანეთის ღირებულების, თამბაქო—60,7 ათასი ფუთი—510,8 ათასი მან., თხილი—10,1 ათასი ფუთი—35,4 ათასი მან. და ხიზილალა—11,7 ათასი ფუთი 140,8 ათასი მან.; ნედლ და ნახევრად დამუშავებულ საგნებიდან—შავი ქვა—18,897 ათასი ფუთი—3,779 ათასი მანეთის, ნავთი და მისი ნაწარმოები—17,5 ათასი ფუთი—15,1 მილ. მანეთის, ძირტკბილა—42 ათასი ფუთი, 45,9 ათასი მანეთის, ტყის მასალა—18,2 ათასი ფუთი 33,7 ათასი მანეთის და აბრეშუმის პარკი—4,950 ათასი ფუთი, 174 ათასი მანეთის, ხოლო ნაწარმოების ჯგუფიდან—ხალიჩა—1365 ფუთი 12,8 ათასი მანეთის.

თუ აღნიშნულ რაოდენობას გამტან სახელმწიფოების მიხედვით განვიხილავთ, შემდეგს ვხედავთ (ათასობით):

სახელმწიფოები	ფუთი	მანეთი
1. ამერიკა	8,099	1,633
2. ბელგია	2,952	1,661
3. გერმანია	2,803	2,393
4. ინგლისი	4,054	2,263
5. იტალია	2,876	2,009
6. ოსმალეთი	4,822	4,749
7. საფრანგეთი	3,872	1,308
8. ჰოლანდია	3177	854
9. ეგვიპტე	4,406	3,657
10. დანარჩენი	437	409
სულ	37,498	20,936

გამტან სახელმწიფოების შორის წონის მიხედვით პირველი ადგილი უჭირავს ამერიკას—8,1 მილ. ფუთი, ანუ 21,6 პროც. მთელი გატანის, მეორე—ოსმალეთს—4,8 მილ. ფუთი—12,9 პრ., მესამე—ეგვიპტეს—4,4 მილ. ფუთი ანუ 11,7 პროც. მეოთხე ინგლისს 4,0 მილ. ფუთი 10,5 პროც. მეხუთე საფრანგეთს 3,9 მილ. ფუთი 10,3 პროც. და სხვა.

რაც შეეხება გატანილ საქონლის ღირებულების განაწილებას დასახელებულ სახელმწიფოთა შორის, აქ პირველობა ეკუთვნის უკვე ოსმალეთს 4,7 მილ. მანეთი 22,4 პროც. მეორე ადგილი უჭირავს ეგვიპტეს—3,7 მილ. მან. 17,5 პროც. მესამე გერმანიას—2,4 მილ. მანეთი, მეოთხე ინგლისს—2,3 მილ. მანეთი—10,8 პროც. ხოლო მეხუთე იტალიას—2 მილ. მანეთი 9,6 პროც. მთელი გატანილ საქონლის ღირებულების.

აქედან ცხადია მნიშვნელობა თვითეულ დასახელებულ სახელმწიფოსი ამიერ-კავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების საექსპორტო ვაჭრობაში.

იმ ათი საბაჟოდან, რომელიც საქართველოს ტერიტორიაზე იმყოფება და რომლიდანაც სტატისტიკურ ცენტრალურ სამმართველოს აქვს მიღებული ცნობები, საქონლის გატანაში მთავარი მნიშვნელობა ჰქონდათ შემდეგს, რომლებზედაც მოდის (ათასობით):

საბაჟოები	ფუთი	მანეთი
სულ . .	37.497,8	20.935,7
მათ შორის .		
ბათომი . .	20.659,3	16.912,6
ფოთი . .	16.715,5	3.576,2
სოხუმი .	36,9	260,0
გუდაუთი .	9,8	82,3
ოჩემჩირე .	50,7	74,6

გატანილ საქონლის წონიდან (37,5 მილ. ფუთი) ბათომის საბაჟოზე მოდის 55,2 პროც. ანუ 20,7 მილ. ფუთი, ხოლო ფოთის—16,7 მილ. ფუთი ანუ მთელი გატანილი საქონლის რაოდენობის 44,6 პროც. რაც შეეხება ღირებულებას, ბათომის საბაჟოზე მოდის 80,9 პროც. მთელი საქონლის ღირებულების, ანუ 16,9 მილ. მანეთი და ფოთზე კი 17,1 პროც. ანუ 3,6 მილ. მანეთი. დანარჩენი საბაჟოების მონაწილეობა უმნიშვნელო იყო.

ბათომის საბაჟოთი გატანილ საქონლიდან უმთავრესი ადგილი უჭირავს ნავთს და მის პროდუქტს, ხოლო ფოთის საბაჟოდან გატანილ საქონელში შავ ქვას.

ლ. კარბელაშვილი.

სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველო

მოსკოვში გამართულმა ფინანსიურმა თათბირმა, რომელსაც დაესწრენ მოკავშირე რესპუბლიკების ფინ. სახ. კომის წარმომადგენელნი, საჭიროდ სცნო ფინანს. სახ. კომისარიატთან სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველოს მოწყობა. ამ დადგენილების თანახმად ა—კ. ფინ. სახ. კომისარიატთან დაარსდა ხსენებული სამმართველო, რომლის საჭიროება დიდი იყო ამიერ-კავკასიისათვის.

სახელმწიფო შემოსავალთა სამმართველოს დანიშნულებას შეადგენს არა საგადასახადო ხასიათის სახელმწიფო შემოსავალთა მეთვალყურეობა.

თუ რამდენად მნიშვნელოვანია ასეთი სამმართველოს მოწყობა ამიერ-კავკასიისათვის სჩანს შემდეგი ცნობებიდან. სახელმწიფო კონტროლის გამორკვევით მშვიდობიან დროს არა საგადასახადო ხასიათის შემოსავალი რკ. გზების, ფოსტა-ტელეგრაფის და ნავთსადგურების შემოსავალს გარდა ა.-კ. მთელს ტერიტორიაზე უდრიდა 15 მილიონს მანეთს. ხოლო 1923—24 წლის ბიუჯეტით ამგვარი ხასიათის შემოსავალი გათვალისწინებულია მხოლოდ 2.400.000 მანეთის რაოდენობით. ამავე დროს ამ გათვალისწინებული შემოსავლის განაღდება მოსალოდნელია მხოლო 50 პროცენტით. ასეთი სამეთვალყურეო ორგანოს შექმნა გარდა ზემოხსენებულ მიზეზებისა, ნაკარნახევია კიდევ იმ გარემოებით, რომ ა.-კ. რესპუბლიკებში არ არსებობს მიწ. მოქ. სახ. კომისარიატების და ს. მ. უ. ს—ბის გამაერთიანებელი ორგანო. სამმართველო შესდგება 3 განყოფილებისაგან: სახელმწიფო ქონებათა განყოფილება, ვაჭრობის და მრეწველობის განყოფილება და აღრიცხვის განყოფილება.

სახელმწიფო ქონებათა განყოფილება.

თვალყურის მდევნელებს ტყეების და მამულების შემოსავლის, რომელიც იმყოფება რესპუბლიკანურ მიწად მოქმ. სახ. კომისარიატების უწყებაში (მაგ. სახალხო მამულები, მიწის წიაღი, საბჭოთა მეურნეობანი და სხვა).

ვაჭრობის და მრეწველობის განყოფილება.

მთავარ დანიშნულებას შეადგენს სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა ბალანსების შემოწმებაში მონაწილეობის მიღება.

ხსენებული დაწესებულებები, რომელნიც ვალდებულნი არიან გამოაცხადონ საჯაროთ ანგარიში, ვაჭრობა-მრეწველობის განყოფილების სანქციის გარეშე ბალანსებს ვერ გამოაქვეყნებენ. განყოფილებამ უნდა გამოარკვიოს აგრეთვე იმ მოგების რაოდენობა, რომელიც ამა თუ იმ სავაჭრო ან სამრეწველო დაწესებულების მიერ შეტანილი უნდა იქნეს ხაზინაში. გარდა ამისა განყოფილებას განზრახვა აქვს საერთო გეგმის შედგენა ჩვენი მრეწველობისთვის. მუშაობის შედეგები წარდგენილ იქნება გეგმათა სამმართველოში.

აღრიცხვის განყოფილება

აწარმოებს ყველა დანარჩენი შემოსავლის აღრიცხვას (საკანცელარიო და სამოსამართლო და სხვა ამონაგებს (Сбор.) და ყველა სახელმწიფო შემოსავლების დაწერილებით გამოანგარიშებას.

ამ განყოფილების მოვალეობას შეადგენს აგრეთვე სახელმწიფო რევალიების (რკ. გზების, პოსტების ფოსტა-ტელეგრაფის) შემოსავალთა აღრიცხვა.

სამმართველო, რომლის სათავეში სდგას ამხ. იანოვიჩი, მოეწყო და მოქმედება დაიწყო ა|წ. 1 აგვისტოდან.

სამაზრო და სარაიონო აღმასკომების ბიუჯეტი

საქართველოს სახალხო კომისართა საბჭოს დადგენილებით, მომავალი სამეურნეო წლიდან უნდა შესდგეს არა მარტო სამაზრო აღმასკომების, არამედ სარაიონო აღმასკომების, მტკიცე ბიუჯეტი. გადაწყვეტილია მომავალი საბიუჯეტო წელი ჩატარებული იქნეს უდეფიციტოთ ყოველგვარ დოტაციების გარეშე.

ამ დღეებში საქართველოს ყველა კუთხეებში გაემგზავრებიან ინსტრუქტორები, რომელთაც დავალებული აქვთ მაზრების და რაიონების ადგილობრივი პირობების გამორკვევა და მიღებული ცნობების თანახმად სამაზრო და სარაიონო ერთეულებისათვის მტკიცედ ჩამოყალიბებული და განსაზღვრული ბიუჯეტის შედგენა.

ბიუჯეტი უნდა შესდგეს იმ ეკონომიურ შესაძლებლობის ფარგლებში, რომელიც მაზრას ან რაიონს მოეპოვება. ყოველგვარი დახმარება ცენტრიდან ბიუჯეტის შედგენის დროს უნდა შეადგენდეს იშვიათ გამონაკლისს.

სამაზრო ბიუჯეტი.

შემუშავებული პროექტით თანახმად მომავალი სამეურნეო წლისათვის სამაზრო აღმასკომის ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილი გადიდებულია. სამაგიეროდ დიდდება აგრეთვე ადგილობრივ ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის წყაროები, რომელთა შორის მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს სახელმწიფო გადასახადებზე და ამონაღებებზე (Сбор) დანარიცხებს და ანარიცხებს.

შემოსავალი.

წყაროები, რომელთაც უნდა ემყარებოდეს სამაზრო აღმასკომების ბიუჯეტები, შემდეგია:

1) ნარჩენები (ნედოიმკები) და ნატურალური ფონდები, 2) შემოსავალი კომუნალური წარმოებებიდან (წყალსადენიდან, წისქვილებიდან, სასაკლაოდან, ტრამვაიდან და სხვა) შემოსავალი სამეურნეო დაწესებულებებიდან (საცდელი მინდვრები, იარაღის გასაქირავებელი პუნქტები, სამაკე პუნქტები, სანერგეები, ბოსტნები და სხვა). 3) ანარიცხები სახელმწიფო გადასახადებიდან (ქონებრივი, საშემოსავლო გადასახადებიდან, სასოფლო-სამეურნეო სარეწაოებიდან, სატრაქტირო გადასახადებიდან), სამონადირეო გამოსაღებიდან და სხვა.

4) დანარჩენების სასოფლო-სამეურნეო გადასახადებზე.

5) ადგილობრივაც გადასახადები და გამოსაღები შეფასებითი გადასახადი შენობებზე, გადასახადი ადგილობრივ ზიდვით გადმოზიდვით რეწვაზე, გადასახადი წყლით და რკინის გზით შემოტანილ და გატანილ საქონელზე. გადასახადი საქარხნო და საფაბრიკო შენობებზე და სხვა.

გასავალი.

უკვე მიმდინარე წლის ბიუჯეტით გათვალისწინებულ ხარჯებს გარდა მომავალ სამეურნეო წელს სამაზრო აღმასკომებს ეკისრებათ მილიციის, სახალხო-სასამართლოების და სახალხო გამომძიებლების შენახვა, რომელსაც დღემდე კისრულობდა ცენტრი. ზემოხსენებულ ხარჯებს გარდა ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი შეიცავს: ხარჯებს ადმინისტრატიული აპარატის და საკუთარი წარმოებების შესანახად, სწავლა-განათლების საჭიროების დასაკმაყოფილებელ ხარჯებს (4 და 7 წლიანი სკოლების შენახვა, ტეხნიკუმების შენახვა პედაგოგიური პერსონალის გამოკლებით, რომელსაც ხელფასს აძლევს ცენტრი).

ყველა სასოფლო-სამეურნეო ორგანოების შენახვა და მოვლა-პატრონობა, ხარჯები სანატორიის და ჯანმრთელობის საჭიროებათა დასაკმაყოფილებლად.

ხარჯები სარაიონო აღმასკომის დასახმარებლად და სხვა.

სარაიონო აღმასკომების ბიუჯეტი.

სარაიონო აღმასკომის ბიუჯეტი საშემოსავლო ნაწილის მთავარ წყაროს განზრახული პროექტის თანახმად შეადგენს ადგილობრივი სამეურნეო დაწესებულებები (წისქვილები, ელსადგურები, საცდელი მინდვრები, სანერგეები, საწარმოო დაწესებულებანი და სხვა).

ანარიცხები სასოფლო-სამეურნეო გადასახადიდან.

სარაიონო აღმასკომის ბიუჯეტის საგასავლო ნაწილი კი შეიცავს ხარჯებს არა არჩევითი თანამდებობის პირთა შესანახად, ხარჯებს ადგილობრივი მნიშვნელობის გზების გასაყვანად, ხიდების ასაგებად და შესაკეთებლად და სხვა.

ასეთია საერთო სახით მომავალი სამეურნეო წლის სამაზრო და სარაიონო აღმასკომის ბიუჯეტის შინაარსი.

ა.-კ. რკინის გზების ხარჯთ-აღრიცხვა და შტატი 1924--25 წლისათვის

მიმდინარე წელს რკ. გ-თა სამმართველოს მიერ შედგენილ იქნა ა|კ—რკინისგზელების ხარჯთ-აღრიცხვა მომავალი სამეურნეო წლისათვის (1924—25 საბიუჯეტო წელიწადია) გამომუშავებულ ხარჯთ-აღრიცხვა განსახილველად წარდგენილ იქნა ცენტრში გზათა მიმოსვლის სახალხო კომისარიატში და ამასთანავე ამ ხარჯთ-აღრიცხვის დასაცავად მოსკოვში წარგზავნილ იქნა სახარჯთ-აღრიცხვო კომისია. უკანასკნელ წლამდე მზგავს კომისიებში არ შედიოდა რკინისგზელათა პროფკავშირების წარმომადგენელი. წრეულს კი რკ. გზელთა პროფკავშირების ცენტრალურ კომიტეტმა წინადადება მისცა რკ. გზის პროფკავშირებს აუცილებლად მონაწილეობა მიეღოთ ამ კომისიის მუშაობაში. ამ წინადადების თანახმად ა|კ. რკინისგზელთა პროფკავშირის სახელით მოსკოვს გაგზავნა ამავე კავშირის პასუხისმგებელი მდივანი ამხ. კოლოსოვი, რომელიც უკვე დაბრუნდა თბილისში და ჩვენს თანამშრომელს გააცნო კომისიის მუშაობის შედეგები.

ა|კავკასიის რკინის გზების შტატი 1924—25 სამეურნეო წლისთვის.

ა|კ. რკინის გზების სამმართველოს მიერ 1924—25 წლისათვის შტატი განსაზღვრული იყო 23.896 კაცით. გასული სამეურნეო წლის შტატი კი შეიცავდა 20,079 კაცს.

ამგვარათ პროექტით განზრახული იყო მომავალი სამეურნეო წლისათვის რკინის გზებზე შტატის 3.817 კაცით გადიდება, რომელიც გამოწვეულია მოძრაობის გაცხოველებით რკ. გზებზე.

გზათა მიმოსვლის სახ. კ-მის საშტატო კომისიამ შტატი დაამტკიცა შემდეგი სახით: მოძრაობისათვის დასტოვა—5.734 კაცი, მოძრაობის გარეშე საქმეებისათვის—12.768 კაცი, წევის დარგისათვის—3.060 მუშა-ხელოსანი, შეგირდობისათვის—647. სულ შტატი განსაზღვრულია 22,209 კაცით.

ამგვარათ გზათა მიმოსვლის სახ. კომის. საშტატო კომისიამ წარდგენილი შტატი შეამცირა 1.687 კაცით. უმთავრესად შემოკლება შეეხო რკ. გზის შემკეთებელ მუდმივ მუშებს, რომლებსაც გამოაკლდათ 616 კაცი. სამაგიეროთ გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატმა სარემონტო მუშაობისათვის გადასდო 100 ათასი მანეთი.

მეორე მიზეზი შტატების შემცირების არის ზოგიერთ ნაწილების გაერთიანება, მაგ. ადმინისტრატიული სამსახურის საორგანიზაციო-საინსტრუქტორო ნაწილი შეუერთდა საერთო ნაწილს; მოძრაობის დარგის სატვირთო ნაწილი უერთდება გამაწესრიგებელ ნაწილს, საკავშირო დარგის (служба связи) სამეურნეო ნაწილი უერთდება სუსტ ელდენთა ნაწილს და სხვა. საერთოდ ამ ცვლილებების მიზანია, რომ ა.-კ. რკ. გზების აპარატი კონსტრუქცია გაერთგვაროს საბჭოთა კავშირის მთელ ტერიტორიაზე.

ხარჯთ-აღრიცხვას საფუძვლად დაედო რკინისგზების უდეფიციტობა.

რ. გ. საუწყებათაშორისო კონტროლის შტატის შესახებ.

ა|კ. რკინისგზების საუწყებათაშორისო კონტროლის შტატი კომისიის მიერ განუხილველად არის დატოვებული და სრულიად გამორიცხულია ხარჯთ-აღრიცხვიდან, რადგან მისი ორგანიზაცია არ არის გათვალისწინებული გზათა მიმოსვლის სახ. კომის არსებული დებულებით.

რკინისგზელთა ხელფასი.

ამ.-კავკასიის რკინისგზელთა ხელფასი სჭარბობდა საბჭოთა კავშირის და დანარჩენ ნაწილების რკინისგზელთა ხელფასს. სახარჯთაღრიცხვო კომისიის წინაშე იდგა ამოცანა, თუ არ გაადიდებდა, დაეტოვებია მაინც ხელფასის ის დონე, რომელიც ამჟამად არსებობს ა|კ. რკინისგზებზე. გზათა მიმოსვლის სახ. კომისარიატმა დაამტკიცა არსებული ხელფასი, რომლის განსხვავების საერთო რაოდენობა, საერთო განაკვეთებთან შედარებით დიდია. რაც შეეხება ხელფასის მომატებას, ჯერჯერობით ეს საკითხი მოხსნილ იქნა, რის გამოც კომისიამ მიმართა რკინისგზელთა ცენტრალურ კომიტეტის სამდივნოს შუამდგომლობით, რომ მან მიიღოს ზომები ა.-კ. რკინისგზელთა ხელფასის საჭიროებისათვის გადასადები თანხების გასადიდებლათ თხოვნა დასაბუთებულია იმით, რომ ა.-კ. რკინისგზებზე განსაკუთრებით მძიმე პირობებია მუშაობისათვის. ცენტრალურ კომიტეტების სამდივნომ ხანგრძლივი თათბირის შემდეგ გადასწყვიტა, გამონახოს საშუალებანი ა.-კ. რკინისგზელთა ხელფასის გასადიდებლად.

საქარხნო მოწაფეობის სკოლისათვის.

ხარჯთ-აღრიცხვით მოთხოვნილი იყო თანხა თბილისსა, ბათომსა და ლენინკანში მოწაფეობის ახალი საქარხნო სკოლების მოსაწყობად სულ 272.046 მანეთი. გზათა მიმოსვლის სახ. კომმა კი გადასდო მხოლოდ 30 ათასი მანეთი. საკითხის ასეთმა გადაწყვეტამ აიძულა კომისია მიემართა კვლავ რკინისგზელთა პროფკავშირის ცეკას სამდივნოსათვის, რომელსაც გააცნო საქარხნო სკოლებში ეროვნულ ენებზე სწავლების აუცილებელი საჭიროება. სამდივნო დაეთანხმა კომისიის აზრს და დაავალა სატარიფო—ეკონომიურ განყოფილებას აუცილებლად დაითანხმოს გზათა მიმოსვლის სახ. კომ. გამოთხოვილ თანხების გაღებაზე. საერთოდ ა.-კ. რკინისგზების საერთო ხარჯრთ-აღრიცხვა შემცირებულია 3 მილიონი მანეთით.

შრომის სასამართლო

ძველი ამბავი

შრომის სასამართლო ყოველდღე ხვდება ერთფეროვან საჩივრებს მეტად მარტივ, მაგრამ ამდენათვე დამახასიათებელ შინაარსით; დამქირავებელი, უმრავლეს შემთხვევაში,—წვრილი მრეწველი აიყვანს სამუშაოზე „შეგირდს" ან „ნათლულს", ამუშავებს მას უმოწყალოთ და ერთ მშვენიერ დღეს მოულოდნელათ გარეთ აგდებს. რატომ? იმიტომ, რომ „შეგირდი" ან „ნათლული" კავშირში ჩაწერილა.

ასეთივეა ფეხსაცმელის ხელოსნის ლოტარიას საქმის შინაარსი. თუმცა მის მოსამსახურეს, ბერიაშვილს არ მიუძღოდა მასთან არავითარი „ნათესაური" ვალდებულება, იგი ჩვეულებისამებრ დათხოვნილ იქნა პროფკავშირში ჩაწერის გამო. მაგრამ ეს არ კმარა. „ლიკვიდაციის" აღსანიშნავად ხელოსანმა შეიჩინა ბერიაშვილის ხელფასი 136 მანეთი.

შრომის სასამართლომ გადასწყვიტა, რომ სალიკვიდაციო ფული დათხოვნილ მუშას უფრო შეეფერება, ვიდრე დამქირავებელს, რის გამოც დააკმაყოფილა ბერიაშვილის საჩივარი.

ერთი თუმანი ექვსი თვის მუშაობისათვის.

ობელაშვილის საზეინკლო სახელოსნოში ექვსი თვის განმავლობაში მუშაობდა ვინმე ვაგარშაკ კაზარიანი. ექვსი თვის შემდეგ იგი დაითხოვეს (უთუოდ იმიტომ, რომ ამ შეგირდმაც „მიაგნო" პროფკავშირს). სასამართლოში გამოირკვა, რომ შეგირდი კვირაში იღებდა „სემიჩკის" საღირალს,—რაღაც ათ შაურს. სულ მიუღია 10 მანეთი. სასამართლომ გადაახდევინა ზეინკალს შეგირდის ხვედრი ხელფასი.

მეცნიერება და ტეხნიკა

პროფესორ მიტტეს აღმოჩენა.

ოქრო სინდიყიდან.

საშუალო საუკუნოების ქიმიკოსები, ე. წ. ალქიმიკები ოცნებობდენ ე. წ. ფილოსოფიურ ქვაზე. მთელი მათი ყურადღება და ენერგია იქითკენ იყო მიპყრობილი, რომ ეპოვათ ეს ქვა, რომლის საშვალებითაც—როგორც ისინი ფიქრობდენ,—შესაძლებელი იქნება ჩვეულებრივ ნივთიერებათა გადაქცევა ძვირფას ლითონათ—ოქროთ.



პროფ. მიტტე,
რომელმაც აღმოაჩინა სინდიყიდან ოქროს მიღების საშუალება

მთავარ მასალას, რომლითაც ალქიმიკები სარგებლობდენ თავისი ცდების დროს, წარმოადგენდა სინდიყი ((ртуть), როგორც ნივთიერება, რომელიც უფრო ემსგავსებოდა ოქროს თავისი სიმძიმით. მაგრამ ალქიმიკებმა ვერ შესძლეს სინდიყის გადაქცევა ოქროთ, ვერ იშოვეს „ფილოსოფიური ქვა".

მაგრამ ის, რაც ვერ შესძლეს ალქიმიკებმა, მოახერხეს თანამედროვე ქიმიკოსებმა.

გერმანელმა პროფესორმა მიტტემ და მისმა თანაშემწემ პროფ. შტამრეიხმა მოახერხეს ოქროს მიღება სინდიყიდან.

თავისი აღმოჩენის შესახებ პროფ. მიტტე ამბობს:

— ჩვენ სრულიად არ ვისახავდით მიზნად ოქროს მიღებას. აღმოჩენა შემთხვევის შედეგია: როცა გამოვიკვლიეთ სინდიყის ნარჩენი გადამწვარ სინდიყის ლამპაში, ჩვენ აღმოვაჩინეთ, რომ მასში არის ოქრო.

ცდა ჩვენ რამდენჯერმე გავიმეორეთ და ყოველთვის ოქრო მივიღეთ.

ჩვენი ცდები შეამოწმეს დიდმა მეცნიერულმა ავტორიტეტებმა, რომლებმაც გამოარკვიეს, რომ სინდიყში გაუშვებენ ელექტრონის ტალღას (რამდენიმე ასეული საათის განმავლობაში) სინდიყი იშლება. სინდიყის მილი ხურდება 1400 გრადუსამდე და უშვებს 10.000 სანთლის ძალის სინათლეს.

ცდების დროს ჩვენ მივიღეთ ერთი-მეასედიდან-ერთი-მეათედი მილიგრამამდი ოქრო (მილიგრამი—გრამის მეათასედი ნაწილი, გირვანქა შეიცავს ოთხასათ გრამს). მაგრამ ეს ოქრო ძვირი ჯდება: მისი ერთი კილოგრამი (2 ნახ. გირ.) დაჯდება 20.000.000 მარკა ოქროთი, ამიტომ ჩვენს აღმოჩენას აქვს მხოლოდ მეცნიერული და არა ტეხნიკური ან სამეურნეო მნიშვნელობა.

ქრონიკა

— **საექიმო დახმარება ვენერიულ სნეულებით დაავადმყოფებულებს.** ვინაიდან უკანასკნელათ ეპიდემიური ხასიათი მიიღო ვენერიულმა ავადმყოფობამ დაზღვეულთა შორის, დამზღვევ კასამ გადასწყვიტა საავადმყოფოებთან გახსნას სპეციალური განყოფილებები როგორც ცენტრში, ისე პროვინციებში.

— **საქართველოს სამხედრო გზის შეკეთება.** ამჟამად სწარმოებს საქ. სამხედრო გზის შეკეთება თბილისიდან მცხეთამდე და მცხეთიდან ფასანაურამდე.

— **ქინაქინა სოფლებისათვის.** მედიცინის მუშაკთა სამმართველო შეუდგა გამორკვევას, თუ რომელ მაზრას რამდენი ქინაქინა სჭირდება.

— **შეშის დამზადება ჯარისათვის.** ჯარისათვის შეშის დამზადების საქმე გადაეცა გლეხკომების ცენტრალურ ბიუროს.

— **სასოფლო იარაღები.** სოციალურ უზრუნველყოფის კომისარიატმა დაავალა ადგილობრივ გლეხკომებს გამოარკვიონ, თუ რომელ სოფელს რა სასოფლო-სამეურნეო იარაღები სჭირდება და რამდენი, რის შემდეგ იარაღები კომისარიატის თავდებობით შეძენილი იქნება საგარეო ვაჭრობის კომისარიატისაგან.

— **დახმარება უმუშევრებს.** შრ. ბირჟის დამზღვევი კასის განყოფილება 25 აგვისტოს გასცემს აგვისტოს თვის დახმარებას ტრანსპორტის, მელითონეთა, აღმშენებლების, მიწა-ტყის და სხ. კავშირის სექციების უმუშევრებზე.

— **დახურულ ტეხნიკუმების მოწაფეთა შესახებ.** განათ. კომისარიატის დადგენილებით შესდგა კომისია პროფესიონალურ და სოციალურ აღზრდის მთავარ გამგეობათა და თბ. განათ. განყოფილების წარმომადგენელთა შემადგენლობით, რომელსაც დაევალა ერთი კვირის განმავლობაში წარმოადგინოს პროექტები დახურულ ტეხნიკუმების მოწაფეთა სხვადასხვა სასწავლებლებში დაბინავების შესახებ.

— **ბაზრის ფასების მოწესრიგება.** ბაზრის ფასების მომწესრიგებელ კომისიამ გადასწყვიტა გამოარკვიოს ბაზრის ფასების მოწერიგების მიზნით პირველ მოთხოვნილების საგნების საჭიროება.

— **მუშათა კოოპერატივები.** ცეკავშირმა მიზანშეწონილად სცნო საქართველოს სამრეწველო ადგილებში არსებული მთლიანი კოოპერატივები გადააკეთოს მუშათა კოოპერატივებათ.

— **ქალაქ. ბაღის გაშენება.** ქალ. აღმასკომმა გადასწყვიტა დაჩქარებით გააშენოს ვაკეს მინდორზე ქალაქბაღი.

— **ბავშვთა ახალშენი.** ბავშვთა დამხმარე საზოგადოებამ მთავრობიდან გამოითხოვა 2,000 მან. ავჭალის მუშათა ახალშენის საჭიროებისათვის.

— **გლეხთა სასახლე.** საქართ. აღმასრულებელმა კომიტეტმა განკარგულება გასცა, რათა ორი დღის ვადაში განთავისუფლებული იქნას სასტუმრო „ბელვიუ" გლეხთა სასახლის მოსაწყობად.

— **საბინაო ახალი ტარიფი.** ქალ. აღმასკომმა ამჟამად იმუშავებს ბინის ახალ ტარიფს, რომელიც გატარებული იქნება ცხოვრებაში 1 სექტემბრიდან.

შემთხვევები

თვითმკვლელობა. 10 აგვისტოს საღამოს, ანტონოვის ქუჩა № 26 ავადმყოფმა ლევან კობახიძემ სამართებლით გამოიჭრა ყელი. გვამი გადაგზავნილი იქნა საავადმყოფოში.

— ქურდობა. 10 აგვისტო ვლადიმირსკის ქ. № 4 მორგებული გასაღების საშუალებით გაქურდეს გრიგოლ ზუბიაშვილის ბინა. წაიღეს 60 მ. ნივთები.

ხელოვნება

ბაჩანას საღამო.

18 აგვისტოს ახალ კლუბის დარბაზში გაიმართა პოეტ ბაჩანას საღამო.

პირველად ქართულ მსახიობთა მიერ წარმოდგენილ იქნა 1 მოქ. კომ. „მათიკო". წარმოდგენამ მწყობრათ და კარგათ ჩაიარა.

პროლეტკულტის გუნდმა ი. კალანდაძის ლოტბარობით შეასრულა კომპოზიტორ სულხანიშვილის ნაწარმოებნი: „მესტვირული", „სამშობლო ხევსურისა" და სხვ.

აგრეთვე სიმებიან ორკესტრმა სტუპელის დირიჟორობით შეასრულა იმავე კომპოზიტორის „კანტატა", რომელიც საზოგადოების თხოვნით რამდენჯერმე განმეორებულ იქნა.

შემდეგ ოპერის მომღერლებმა ლ. კავსაძემ, გ. ვენაძემ და ახალგაზრდა მომღერალმა ქალმა კვიჟინაძემ საუცხოვოდ შეასრულეს ქართველ კომპოზიტორების სხვადასხვა რომანსები.

ცნობილმა მეპიანოემ ოჰანეზაშვილმა შეასრულა პიანოზე „ჩარგა", „აღმართ-აღმართ" და სხვ.

ოპერის ბალეტის მოცეკვავე ალბერტმა იცეკვა „სამშობლო" და სხვ.

დასასრულ პოეტებმა სცენაზე გამოიყვანეს პოეტი ბაჩანა, რომელსაც ხალხი მხურვალე ტაშის ცემით შეეგება. ლექსები წაიკითხეს ზომლეთელმა, შინტეხელმა და სხვ. აგრეთვე ლექსები წაიკითხა თვით ბაჩანამ. საღამოს ხალხი ბლომად დაესწრო.

დამსწრე.

— **ლეო ქიაჩელის საბავშვო მოთხრობების კრებული.** სექტემბრის პირველ რიცხვებში გამოვა ლეო ქიაჩელის საბავშვო მოთხრობათა მეორე კრებული. წიგნი დასურათებულა ვ. სიმონ ერისთავის მიერ. წიგნი მოწონებულია სახელმწიფო სამეცნიერო საბჭოს მიერ.

— **ხალხური სიმღერების ჩაწერა.** სახელოვნო კომიტეტმა დაადგინა გამოიწვიოს გურიიდან ცნობილი სახალხო მომღერლები ხალხური სიმღერების ჩასაწერად.

— **კონსერვატორიაში სიმღერების ქართულ ენაზე სწავლება.** სახელოვნო კომიტეტმა წინადადება მისცა კონსერვატორიის სიმღერების განყოფილებას, დაჩქარებით წარმოადგინოს წერილობითი მოხსენება ქართულ ენაზე სიმღერების სწავლების შესახებ.

— **ოპერის ქართველ მსახიობთა დასი.** სახელოვნო კომიტეტმა დაამტკიცა ოპერის ქართველ მსახიობთა დასი, რომელიც მომავალ ზაფხულში აყვანილი იქნება, სახელმწიფო ხარჯზე, ქართული ოპერის რეპერტუარის მოსამზადებლად.

მუშათა ცხოვრება

პროფტექნიკურ კურსებზე

მუშათა ცენტრალურ კლუბში არსებობდა პროფტექნიკური კურსები ინჟ. მირზოევის ხელმძღვანელობით, რომელმაც აღნიშნული კურსები ერთი წლის განმავლობაში სათანადო სიმაღლეზე დააყენა. აქ მეცადინეობდნენ მელითონეები, რკინისგზელები, კომუნალ. მეურნ. კავშირის წევრნი და სხ. მსმენელი-მუშები სწავლაში დიდს ნაყოფს იჩენდნენ როგორც თეორეტიულ, ისე პრაქტიკულ საგნებში.

კურსებზე იყო ორი ჯგუფი. პირველ ჯგუფს უნდა დაემთავრებინა კურსი მ. წ. ოქტომბრის დღესასწაულებისათვის, მეორეს კი დაეწყო მეცადინეობა მ. წ. მარტიდან.

ივნისის პირველ რიცხვებში აღნიშნული კურსები დაიკეტა, რამაც საგრძნობლად შეაფერხა მეცადინეობის ნორმალური მსვლელობა. კურსების დაკეტვამ მსმენელ-მუშათა შორის დიდი უკმაყოფილება გამოიწვია და მიმართეს კოლექტიური თხოვნით საქ. პროფ. კავ. საბჭოს, რათა დათხოვნა მომხდარიყო 1—20 ივლისის განმავლობაში შესასვენებლად, რათა შესძლებოდათ მომზადება მუშფაკისათვის და აგრეთვე დროზე დაემთავრებინათ კურსები. მიუხედავათ ყოველგვარი ცდისა, კურსები მაინც დაიკეტა, და მსმენელებს მოუხდათ მელითონეთა კავშირის კლუბში გადატანა სწავლისა.

მუშკორი მელითონე

რათ ეძლევათ კერძო პირებს შეკვეთები?

ქარხანა წითელი ინვალიდებისა „პროგრეს“-ი მოთავსებულია გიორგის ქ. № 1.

ეს არტელი არსებობს დაახლოებით ორი წელიწადი და შესდგება მხოლოდ ომის ინვალიდებისაგან. ამ ქარხანაში მზადდება კონტორის წიგნები, ორდერები, ჩეკები, ბლოკნოტები, წიგნების აკინძვა, რვეულები და სხვა კანცელარიის საჭირო საგნები.

არტელს დიდი დახმარება გაუწია პირველ თავიდანვე სოც. უზრ. კომისარიატმა სესხის მიცემით.

ჯამაგირებს არტელის წევრები მინიმუმს იღებდენ და სწორედ ამის საშუალებით მეტი ნაწილი ვალებისა დაფარულია. დიდად სამწუხაროდ უნდა აღინიშნოს სახელმწიფო დაწესებულების გულგრილობა ამ ქარხნის მიმართ, რაიც გამოიხატება შეკვეთების მიუცემლობაში.

რათ უნდა ეძლეოდეს კერძო პირებს შეკვეთები, როდესაც ასეთი ქარხანა არსებობს და ამ უკანასკნელის არსებობა სწორედ სახელმწიფო დაწესებულებზეა დამოკიდებული?

ეს ქარხანა მრავალმხრივ სასარგებლოა სახელმწიფოსათვის.

1) ომის ინვალიდები თვით უზრუნველყოფენ თავიანთ თავს.

2) სახელმწიფო დაწესებულებებს მიაწოდებენ საუკეთესო დამზადებულ ხარისხის საგნებს ხელმისაწვდომ ფასებში.

და 3) რაც მთავარია კონკურენციას გაუწევენ კერძო პირებს, რომელნიც სცდილობენ რაც შეიძლება ზედმეტი წაავლიჯონ სახელმ. დაწესებულებებს.

სახელმ. დაწესებულებანი ზნეობრივად მოვალენი არიან ყოველ მხრივ ხელი შეუწყონ ამ არტელს.

ინფ. მ. ჯ.

შრომის ინსპექტორის საყურადღებოდ

ღრმაღელეში არის აგურის ქარხანა, რომელიც ეკუთვნის ქალაქის საალმშენებლო კავშირს, რომლის გამგედ არის ინჟინერი მარქაროვი. მას ყავს ქარხანაში დარაჯი ახკომკავშირის წევრი, ვანო გელაშვილი, რომელიც მუშაობს განუსაზღვრულ დროის განმავლობაში. მას არც უქმე დღეში აქვს მოსვენება, ღამე ყარაულობს ქარხანას და დღე მუშაობს სხვადასხვა საქმეებზე, როდესაც მოსთხოვა გელიაშვილმა კაცი, მარქაროვმა უპასუხა: ღამე ყარაულობა და დღე საქმეზე იქით-აქეთ სიარული არის მსუბუქი საქმეო და ამიტომ ერთ კაცზე მეტი არ შეიძლება იყოსო.

კარგი იქნებოდა ენახულა ღრმაღელის აგურის ქარხანა შრომის ინსპექტორს და გასცნობოდა აქაურ მუშების მდგომარეობას.

მუშა სიონელი.

როდის გველირსება სინათლე?!

(ქალ. აღმასკომის საყურადღებოდ)

ვინ იცის რამდენჯერ დაიწერა დიდუბეზე. მაგრამ დღევანდლამდისაც მასზე არავინ ფიქრობს. იწერებოდა უმეტესად სინათლეზე, ჯერაც ისევ ისეთი საშინელი სიბნელეა აქ.

დაწყებული საგურამოს ქუჩიდან—ვიდრე რკ. გზ. სამმართველომდის საშინლად გაფუჭებულია ბაღის წინ ტროტუარი, ცემენტი დამტვრეულია და აქა-იქ ჩაღრმავებულია გზა. ადამიანი ისე ვერ გაივლის ამ გზას, რომ რაიმე ზიანი არ მიაყენოს თავის თავს, მეტადრე ეხლა ასეთ სიბნელეში.

აღმასკომი, თუ ძალას ატანს სახლის პატრონებს, რომ გაასწორონ თავ-თავიანთი სახლის წინ ტროტუარები, მაშინ აგრეთვე უნდა გასწორებულიყო ხსენებულ ბაღის წინ მთელი ტროტუარი. ეს კი ჯერაც არ არის გატარებული ცხოვრებაში.

ამას გარდა, თუ მთელი უბანი არ არის ღირსი სინათლის, მაშინ ეს ზემომოყვანილი გზა მაინც გაგვინათე დიდუბე მუშათა უბანია და მისი განათება აუცილებელია.

ინფ. ალ. გურასაშვილი.

ეს ნაკლი გამოვასწოროთ

(ცეკავშირის საყურადღებოდ)

ჩვენ კოოპერაციის საშუალებით სასტიკი ბრძოლა გამოუცხადეთ კერძო კაპიტალს.

ბრძოლა კი შესაძლებელია გახდეს ნაყოფიერი მხოლოდ მაშინ, როდესაც ჩვენს ნაკლებს მოვსპობთ. საშინელი ნაკლი, როგორიც სუფევს ცეკავშირში, აფერხებს და ასუსტებს ამ ბრძოლას. ცეკავშირს, როგორც საქონლის განმანაწილებელი და საშუამავლო ორგანოს სოფელსა და ქალაქს შორის, აუცილებლად საჭიროა ჰყავდეს გამოცდილი ინსტრუქტორები, რომლებიც უნდა იყვნენ დახელოვნებული კოოპერატიულ მუშაობაში, დაინტერესებული კოოპერაციაში. სწორედ ეს არის სუსტი მხარე ცეკავშირისა; მას არ ჰყავს ასეთი პირები და რა თქმა უნდა ჩვენს მოწინავე ამხანაგებს გაუძნელდებათ მუშაობა, თუ ხელქვეითები არ ეყოლებათ გამოცდილები.

უხილავი.

საჭიროა ჩვენც მოგვიწყოთ დაჩქარებით

თბილისში მთავარ სახელოსნოში მოწყობილია უკვე რამოდენიმე ხანია მოწაფეთა ბრიგადა. ამას წინათ კომკავშირის ეკ. თათბირმა გადასწყვიტა ასეთი ბრიგადები მიეწყო სამტრედიის, ხაშურის და ბათომის დეპოებში, მაგრამ მას შემდეგ საკმაო ხანი გავიდა და ამის შესახებ ჩვენს დეპოებში არავითარი ამბავი არაა. ამისათვის საჭიროა, რათა ამ მივიწყებულ ამბავს მიექცეს სათანადო ყურადღება და გაგვიხსნათ მოწაფეთა ბრიგადა ზემოაღნიშნულ დეპოებში და მით დააკმაყოფილოთ ჩვენი დიადი მისწრაფებანი ამ მიმართულებით.

ზეინკალის მოწაფე რაფ. ძიგუა.

ფული წაიღეს, ჟურნალი კი არ მიგვიღია

(აღმასკომის საყურადღებოდ)

1-ლ საბჭოთა საავადმყოფოში 4 თვის წინ შეკრებილ იქნა ხელის მოწერა ჟურნალ „კავკასიონზე“. ფული აიღეს, ჟურნალი კი არ მიგვიღია. რა იქნა ფული?

მუშკორი გოგინკა.

გაგვინათეთ სკვერი

(აღმასკომის საყურადღებოდ)

დავიდოვის ქუჩაზე მდებარე ბაღი ღამღამობით წყვდიადითაა მოცული, რაც ხელს უწყობს ყოველგვარ ბნელ საქმეს. საჭიროა სკვერი ან მიდამო განათდეს, ყოველთვის მთვარე არ იქნება.

მუშკორი მერ.

რკინისგზელთა ქრონიკა

— **ხელის მოწერა სწარმოებს.** თბ. საუბნო პროფკავშირის კულტგანყოფილება აწარმოებს კოლექტიურ ხელის მოწერას საკავშირო რკ. გზელთა ც.-კ.-ის ორგანო „გუდოკ“-ზე.

— **3 სტუდენტი სტიპენდიანტი.** თბ. საუბნო პროფკავშირმა გაგზავნა მოსკოვში 3 სტუდენტი უმაღლეს სასწავლებელში.

— **საბილეთო მაგიდისათვის.** ა | კ. რკ. გზ. სამმართველოს გაერთიანებულ ადგილკომმა მოსთხოვა ადმინისტრაციას საბილეთო მაგიდაში შტატის გადიდება.

— **გრაკალის მუშებისათვის.** თბ. საუბნო პროფკავშირმა გასცა სად. გრაკალის მუშებს წყლის ბაკები აბანოსათვის.

— **წიგნების დამზადება.** თბ. საუბ. პროფკავშირის კულტგანყოფილება ამზადებს ახალ წიგნებს ხაზზე მდებარე ყველა წიგნთსაცავ-სამკითხველოებისათვის.

— **მოსკოვის ფიზკულტურის ინსტიტუტში.** ფიზკულტურის ინსტიტუტში თბ. საუბნო პროფკავშირმა გაგზავნა ერთი კურსანტი.

ინფ. ა—ძე.

ალმასკომის პასუხი.

(ჩვენი მუშკორების შენიშვნაზე)

პასუხად წერილის, რომელიც მოთავსებული იყო „კომუნისტ“-ის № 128-ში სათაური „დებოში მუშტაიდში“, მილიციის უფროსმა მომართვით ა | წ. 22—7 № 1894 გვაცნობა, რომ გაზეთში ხსენებულ შემთხვევას ჰქონია ადგილი, ვინაიდან იქ საგუშაგო არ ყოფილა დაწესებული და უკანასკნელის დაწესების შემდეგ ასეთ შემთხვევას ადგილი არ ექნება.

ინფ. გაბილაია.

იურიდიული დახმარება ამხ. მუშებს.

კითხვა.

გთხოვთ განგვიმარტოთ, თუ რამდენი უნდა გადავიხადოთ სახლის ქირა. ჩვენ ვცხოვრობთ კალოუბნის ქ. № 14. არავითარ ჯამაგირს არსაიდან ვიღებთ, და ვიმყოფებით სამი მოწაფე მშობლების მზრუნველობის ქვეშ. ჩვენი ოთახის სივრცე უდრის 56 კვად. არშინს—მაქვს საკუთნაო, შესავალი არის ქუჩიდან.

გამაგებინეთ საჩქაროდ ვინაიდან გამგე სახლისა მაწუხებს.

პასუხი:

(მოწაფეებს—ვანო, ანიკო და შალვა კარდენახიშვილებს).

თანახ. ქალ. საბჭოს და აღმასკომის დადგენილებისა № 42 (1923 წ. [illegible] ნოემბრ.) პარაგ. 2—თუ კი თქვენ მშობლებთან არ სცხოვრობთ და არც სამუშაოზე იმყოფებით, რომლიდანაც თქვენ გქონდეთ საშუალება საკუთარი თანხით არსებობისა, მაშინ თქვენ გადაიხდით ბინის ქირას პირველ კატეგორიით თითოეულ კვად. არშინსე 0,4 კ. სულ მთელ ბინისას თვიურად 25 კაპ.

ექსკურსია ოსეთ-რაჭაში

მაგონდება ერთ-ერთ სჯარო სხდომაზე ნათქვამი სიტყვები: „ჩვენი ქვეყანა შესწავლილია სხვათა მიერ და სხვათაშორისო“. თვით ჩვენ კი ამ დარგში ძალიან ცოტა გვიკეთებია. გასაკეთებელი კი მრავალია. ყოველი კუთხე მკვლევარს ელის.

და აი, დადგა დრო ასეთ მუშაობის. ამ მიზნით დაარსდა „საქართველოს გეოგრაფიული საზოგადოება“ და მასთან „მთასვლა მგზავროსნობის განყოფილება“, რომელმაც თავის დაუღალავი თავმჯდომარის დოცენტი გიორგი ნიკოლაძის ხელმძღვანელობით მუშაობის დიდი უნარი გამოიჩინა. ამ ზაფხულის განმავლობაში მოაწყო მრავალი ექსკურსია: 1. ბორჯომის ხეობაში. 2. მარელისიდან—ბორჯომში ლიხის მთით. 3. საგურამოს ქედი, 4. შიომღვიმე და სხვა მრავალი. ამ ექსკურსიების დროს მონაწილენი ეცნობოდნენ სხვადასხვა საკითხებს: გეოგრაფიიდან, მინერალოგიიდან, გეოლოგიიდან, ბოტანიკიდან და სხვ. იკრიბებოდა სამეცნიერო მასალა, რომელიც უნივერსიტეტის ლაბორატორიებში მუშავდებოდა.

ყველაზე თვალსაჩინო ექსკურსია კი იყო „ოსეთ-რაჭაში“. თავისი სვლეგზით, მეცნიერული მნიშვნელობით ქართველთა მონაწილეობით ეს იყო პირველი ექსკურსია ჩვენში. ექსკურსიაში მონაწილეობას იღებდა 19 კაცი, მათ შორის ოთხი ქალი.

სვლეგზი იყო შემდეგი: თბილისი-სახჩერე. სახჩერიდან-მდ. ყვირილის სათავე. მდ. ლიახვის ხეობა. სამხრეთ ოსეთი. მთავარ ქედის უღელტეხილი. ზიკარას გადასავლით ჩრდილოეთ ოსეთი. არდონის ხეობა—კასარა. მიზური, სადონის მაღაროები. წეის მყინვარი. მამისონით. რაჭა. ნაქერალით ტყიბული. ოკრიბა. ქუთაისი და დასასვენებლათ რამდენიმე დღით ბათომში.

სახჩერიდან დაბარგულნი (გარდა საკუთარი ბარგი ყველას ჰქონდა საზოგადო ხელსაწყობი, სიმაღლის მზომი ფოტოგრაფიული აპარატები, საჰერბარიო ბადეები, ქაღალდი და სხვა) ექსკურსია შეუდგა მდინარე ყვირილის ნაპირებს. შორს წაგვიყვანს იმ სიმშვენიერეთა აღწერა, რომლითაც შემკულია ეს ხეობა. უღრანი ტყეები, ასწლოვანი წაბლის ხეები, მქუხარე ყვირილა, მთის კალთებზე შეფენილი სოფლები, რომელთაც დარაჯებათ თოვლიან·ყინულიანი მთები დასდგომიან. რაც უფრო მაღლა მიდიხარ, მით უფრო თვალსა სჭრის ბუნების სილამაზე—ატყვევებს გულს და გსურს, რომ შენც შეუსისხლხორცდე, შენც შეეთვისო მას, მისი განუყრელი ნაწილი იყვე.

აი მწვერვალი „წითელი მეწყერი“ (სხირთლაბირთა). მთელი საქართველო როგორც ხელის გულზე ისეა გადაშლილი, კახეთიდან შავ ზღვამდე—ვით რელიეფური რუქა. სოფლებსაც კი ასახელებ. წინ კი კავკასიონის უღელტეხილი მთელი თავის სიდიადით და ზვიადობით, მარადი თოვლებით, მყინვარებით. მამა მთავარი „იალბუზი“. საშინელი და აუვალი, მაგრამ ლამაზი „უშბა“ და სხვა მრავალი. თვალს სჭრის ეს სილამაზე და უნებლიეთ ჰფიქრობ რამდენია ისეთი, ვისაც მოვლილი აქვს უცხოეთი და აქ ჩვენში კი ასეთი სიდიადის წარმოდგენაც კი არა აქვს. ყოველივე ამან მონაწილეთა შორის აღძრა სურვილი, შემდეგისათვის ამ სვლეგზით წამოიყვანოს ახალ-ახალი ჯგუფი, რათა ყოველმა ქართველმა მოქალაქემ გაიცნოს თავისი მხარე....

ექსკურსია გაუდგა გზას და ჰკრებდა მრავალ მეცნიერულ მასალას. 1) სიმაღლის ზომით იზომებოდა ყოველი თვალსაჩინო პუნქტი და მწვერვალი, 2) სწორი რედაქციით და ადგილობრივი გამოთქმის დაცვით იწერებოდა ყოველი გეოგრაფიული სახელწოდება (ცნობილია, რომ ამ მხრივ რუსული რუქები მოიკოჭლებენ), 3) ფოტოგრაფიულ აპარატით იღებდნენ გეოგრაფიულ სურათებს, 4) იკრიბებოდა მაღალ მთების ფლორა, 5) დაკვირვება სარეველ მცენარეთა შეულ გავრცელებაზე, 6) კულტურულ მცენარეთა შეულ გავრცელება და კოლექცია, 7) მინერალოგიური, გეოლოგიური, პეტროგრაფიული მასალა, 8) ეთნოგრაფიული დაკვირვება და სხვა მრავალი.

ექსკურსიის ყოველ მონაწილეს ჰქონდა დავალებული თავისი საქმე და ყოველი ცდილობდა პირნათლად შეესრულებინა და დაემტკიცებინა, რომ იქ, სადაც საქმის სიყვარულია, ყოველის გაკეთება შეიძლება მაშინაც კი, როდესაც ისეთი მცირე თანხები ექნება, როდესაც ყველისა და მჭადის ყიდვასაც კი ვერ ბედავენ.

ზიკარას მაღალ გადასავლით (3170 m.) ექსკურსია გადავიდა ჩრდილოეთ კავკასიაში. ჩაჰყვა არდონის ხეობას განვლო მრისხანე და ბობოქარი კასარას ხეობა, დაათვალიერა სადონის ტყვია-ვერცხლის მაღარო, მიზურის ქარხნები, და შემდეგ გაემგზავრა კავკასიონის ერთ-ერთ უდიდეს მყინვარ „წეისკენ“, რომელიც ჰბადებს საშინელ და ზავთიან მდინარე „წეიდონს“. მას ათი ვერსის მანძილზე 700 m. მეტი ვარდნა აქვს. წეიას მყინვარზე ექსკურსიამ განვლო 4 ვერსი. გზა გაძნელდა, სახიფათოა მასზე სიარული, ფარული უფსკრულებში თავი შეუტარებია შავ სიკვდილს და თუ ფრთხილად არ ჰხარ ძნელია. გადაღებულ იქმნა მრავალი სურათი. მორენებზე შეიკრიბა მრავალი მცენარე.

სამხედრო გზით და მამისონით მივდივართ რაჭისკენ და 17 ივლისს უკვე რაჭაში ვართ. აღტაცებული ვართ რაჭის სიმშვენიერით და სილამაზით. იმ აღმშენებლობითი მუშაობით, რომელიც რაჭაში სწარმოებს: კურორტი შოვი, ეს საყვარელი კუთხე დღემდე მივიწყებული მხარე ამხ. შამშე ლექავას წყალობით მცირე ხანში მსოფლიო კურორტათ გადიქცევა, დიდ ენერგიას იჩენს მისი ხელმძღვანელი და ნაყოფიცა სჩანს. აი აქ კეთდება გზები, იქ ხიდები—ვეებერთელა ონი-ნაქერალის გზა თითქმის მომთავრებულია და გიხარიათ, რომ ასე უჩუმრად კეთდება დიდი საქმე. ექსკურსიამ რაჭაში დაჰყო ივლისის 26-მდე და ყველგან თბილი დახვედრა ჰქონდა, თანაგრძობა და წახალისება. ამ ხნის განმავლობაში დათვალიერებულ იქმნა მრავალი ღირსშესანიშნავი ადგილები. შეიკრიბა მრავალი მასალა ღებში, გლოლაში, ზემო რაჭაში და მთის მწვერალებზე.

ნაქერალით დაეშვით იმერეთისკენ და ოკრიბისა და ქუთაისის მიდამოების დათვალიერების შემდეგ ექსკურსია 30 ივლისს ეწვია, ბათომს სადაც შავი ზღვის ნაპირზე ცხრა ფიალა მზის ქვეშ და ტროპიკულ მცენარეთა ჩრდილებში ორი დღე დაისვენა.

ამგვარათ ამ ექსკურსიამ იმგზავრა ერთი თვე. განვლო ფეხით 442 კილომეტრი ძალიან ხშირად პირდაპირ გაუვალ გზით. დაათვალიერა მრავალი საყურადღებო ადგილები და შეკრიბა მრავალი სამეცნიერო მასალა, მნიშვნელობით დიდი და ძვირფასი, რომელიც დამუშავდება უნივერსიტეტის ლაბორატორიუმებში.

ექსკურსიას ყველგან თანაგრძნობით ჰხვდებოდნენ და თანხებიც რომ მეტი ყოფილიყო, უფრო მეტის გაკეთებას შესძლებდა, მაგრამ ეს უკანასკნელი ნაკლი ალბათ გამოსწორებული იქნება შემდეგისათვის.

ნარიდაკანი.

პროვინციაში

სოფ. ზემო-ხვითი (გორის მაზრა)

ეს სოფელი დიდს უწყლობას განიცდის. მთელ ამ ზაფხულის განმავლობაში გაფუჭდა ბაღები და ბოსტნები, იხოცება უწყლობით შინაური ფრინველი და საქონელი. სასმელს წყალს ზურგით ეზიდებიან 3 ვერსის მანძილზე, წყლის დასალევენებლათ იქ ერეკებიან აგრეთვე მსხვილფეხა შინაურ საქონელს. ერთი სიტყვით დიდს გაჭირვებას განიცდის უწყლობის გამო ეს სოფელი, აუცილებლად საჭიროა წყლის გამოყვანა, უამისოთ ეს სოფელი ვერ იცხოვრებს. სათავე, საიდანაც შეიძლება წყლის გამოყვანა ამ სოფელში, მოხერხებულ ადგილზეა და ამ საქმის მოწესრიგება არც დიდ ხარჯებს მოითხოვს.

ამ სოფელს ამის გარდა სხვა ნაკლიც აქვს. აქ სცხოვრობენ რამდენიმე კოჭლი მდიდარი გლეხი „კულაკები“, რომლების შიშით ღარიბი გლეხები ხმას ვერ იღებენ. აი ერთმა იმათგანმა, სახელდობრ კოტე იმერლიშვილმა თავის ძმებითურთ (ხუთი ძმანი არიან) თავიანთ სახლის კაცებს ობლებს და 72 წლის მოხუცებულს კეკეს (უკანასკნელი ობლების დიდედაა) წაართვეს ყურძნის ბაღი ეგრედ წოდებული „კარების ვენახი“ ძალადობით. ბევრი ეწვალა მოხუცი, აღძრა საჩივარი ადგილობრივ ამორჩეულ პირებთან, მაგრამ ამაოთ. თუმცა მთელი სოფელი და ამორჩეულნი პირნი ამ ობლებს აკუთვნებდნენ ვენახს, მაგრამ ხომ მოგეხსენებათ—ძალა ალმართსა ხნავსო. ამ შეძლებულმა „კულაკებმა“ დაინარჩუნეს ვენახი მიიამხანაგეს თავიანთივე შეძლებული სოსო ადამის ძე გოგიშვილი და გასჩეხეს ვაზები, ხეხილი და მოხნეს გუთნითა და ხმარობენ არხეინათ.

გულხელ დაკრეფილი ობლები და მოხუცი შესცქერიან თავიანთ ნაამაგარ ბაღს შორიდან. მე დარწმუნებული ვარ, რომ საბჭოთა ხელისუფლება მოსთხოვს პასუხს ამ ვაჟბატონებს ჯერ ვაზისა და ხეხილის გაჩეხვაზე და შემდგომ ძალადობაზე.

ვენახის წართმევით არ დაკმაყოფილდნენ იმერლიშველები 7—8 აგვისტოს დაახლოვებით ღამის 1 საათზედ სანათურიან ჩაიპარა ობლების სახლში გასაქურდავათ ვასო იმერლიშვილი, მაგრამ დროზედ შეიტყო მძინარე მოხუცმა, წამოდგა ზეზე, გაანათა წუმწუმა, სინათლის გამო ქურდმა ადვილათ გაალო კარები სახლიდან გავარდა. ამ ყვირილში და ალიაქოთში გამოიღვიძეს ობლებმა და მეზობლებმა. მოვიდნენ ადგილობრივი საბჭოს წევრები ამხ. ნიკა დურგლიშვილი და სანდრო გოგიშვილი. მომხდარმა ამბავმა ძალიან შეაშფოთა უკანასკნელნი და მეორე დღესვე შეატყობინეს სოფ. სინდისში ამხ. მილიციის უფროსს სიმონიშვილს, რომელმაც მოსვლისთანავე დაატუსაღა ვასო იმერლიშვილი, შეადგინა ოქმი და გაგზავნა გორის საგანგებო კომისიაში. მაგრამ ტუსაღი მეორე დღესვე გზიდანვე დაბრუნდა განთავისუფლებული. მოვიდა თუ არა ჯერ თავის სახლშიც არ შესულიყო, ეცა საბჭოს წევრს სანდრო გოგიშვილს და დაუწყო უშვერის სიტყვებით ლანძღვა. მას მიეხმაგნენ ძმებიც და ჩხუბისა და ლანძღვის გარდა დაემუქრნენ, რომ თქვენს ჯავრს ამოვიყრითო. ასე სჩაგრავენ საწყალს და ღარიბ გლეხკაცობას ეს ვაჟბატონები.

საჭიროა ალაგმვა და სასტიკი გამოძიების დანიშვნა ხსენებულ საქმეზე.

ჩამომვლელი მუშა.

ქალ. ხაშური

ხაშურის რაი-აღმასკომი ამ ბოლო ხანებში შეუდგა ქალაქის გამშვენიერებას. დაიწყო მთავარი ქუჩების შეკეთება, მაგრამ ამასთანავე ერთად საჭიროა მიექცეს ყურადღება ჰალისა და ცხრამუხის ხიდებს, სადაც ტალახის მორევია დამდგარი. აგრეთვე ყურადღება უნდა მიექცეს ქალაქის რიგიანათ განათებას.

ქ.

სოფლის ყოფა-ცხოვრება

ქრისტიანული ცრუმორწმუნოების გარდა სოფლად ბუდობს სხვა ცრუმორწმუნოებაც, „მავნე სულების“ არსებობის სახით, რომელსაც სოფლად ეძახიან „ჰინკაობას, ეშმაკობას, ჰიაკოკონობას და სხვა“. სოფლის ჩამორჩენილი და განუვითარებელი გლეხობის ოჯახებში ეწყობა ვითომ და „მავნე სულებისაგან“ თავდაცვის მიზნით ღამ-ღამობით ყარაულობა ანუ ღამისთევა.

ასეთი ცრუმორწმუნოების გავლენის ქვეშ იმყოფება არა მარტო სოფლის უპარტიო მასა, არამედ კ. პ. და კომკავშირის ზოგიერთი წევრებიც.

მოვიყვან შემდეგ მაგალითს: როგორც თვით ადგილობრავ კომკავშირის წევრებმა გადმომცეს, ღამით 2 აგვისტოს სოფ. ნახარებოვო (მარტვილის რაიონი) და სხვა სოფლებში ზემოთხსენებულ ცრუმორწმუნოების ჩატარებაში კომკავშირის რამოდენიმე წევრსაც მიუღია მონაწილეობა, ზოგიერთ მათგანს თავის ოჯახშიაც მოუწყვია „ჰინკაობა“. იმის ნაცვლად, რომ კომკავშირის წევრებმა ხელი შეუწყონ ყოველგვარ ცრუმორწმუნოების ამოთხვრას სოფლად, პირიქით, ზოგი მათგანი ხელს უწყობს უკანასკნელის დაცვას და ამრიგათ სახელს უტეხენ თავის ორგანიზაციას.

სოფლად ჩვეულებისამებრ მისდევენ სტუმართ-მასპინძლობას, ამის წინააღმდეგ ჩვენ არაფერი გვაქვს, მაგრამ ხშირად ის მეტად მახინჯ ხასიათს იღებს და მეტად საზიანო ხდება სოფლის მცხოვრებთათვის. ის აუცილებლად უნდა ჩაითვალოს ძველ ფეოდალურ-ბურჟუაზიულ წესწყობილების მავნე ნაშთად.

იშვიათია, რომ სოფლად „სტუმართ-მასპინძლობა“ დამთავრდეს მშვიდობიანათ, სწარმოებს ღვინის სმაში შეჯიბრება. ვინც ფუთობით ღვინის სმას ვერ შესძლებს, ის ლაჩრათ მიაჩნიათ და სანამ ქეიფობაზე დამსწრე საზოგადოება ღვინის ზედმეტ დალევით გონებას არ დაჰკარგავს, ერთიმეორეს თავს არ დაანებებენ; ამრიგათ ღვინისაგან გალეშილთ ეკარგებათ გრძნობა და თვით არ იციან, რას შვრებიან.

მთვრალობის ნიადაგზე დასაწყისი ეძლევა ყოველგვარ უსიამოვნებას, ჩხუბს, აყალ-მაყალს, ხშირად ადამიანის მსხვერპლიც მოჰყვება ხოლმე. მასპინძლობის ასეთ დამახინჯებულ ფორმას სასტიკი ბრძოლა უნდა გამოეცხადოს.

სამწუხაროთ ასეთ მოვლენებს ხშირათ აქვს ადგილი კ. პ. და კომკავშირის ზოგიერთ წევრებშიც, რაიც ყოვლად დაუშვებელია და რომელსაც პარტიამ უნდა მიაქციოს სათანადო ყურადღება და აწარმოოს მასთან ბრძოლა.

სოფლადვე ძველი დროიდან დარჩენილია მეტად მავნე ჩვეულება „ქელეხობის“ სახით, რომელიც იმართება მიცვალებულების გასვენების დროს. „ქელეხი“ იწვევს უთავბოლო ხარჯებს, რომელიც მძიმე ტვირთად აწვება სოფლის მშრომელ გლეხობას. ერთიმეორეს ჯიბრით გლეხი, მიუხედავათ იმისა—ღარიბია იგი თუ შეძლებული მაინც აწყობს „ქელეხს“, უამისოთ მიცვალებულის დასაფლავება საერთოდ სირცხვილად მიაჩნიათ, გლეხებს ვერ გაუბედავთ მიცვალებულისადმი პატივისცემა იმ წესით, როგორც ეს ხდება უფრო კულტურულ ხალხში.

არსებობს ქელეხთან დაკავშირებული სავალდებულო გადასახადი „გადასახურავის“ სახით. ეს გადასახადი ერთგვარ ბეგარას წარმოადგენს. ვინც ამ გადასახადს გაექცევა და არ გადაიხდის, მას ზიზღით უყურებს საზოგადოება, ამბობენ, რომ „გამოკვდა საზოგადოებაში“-ო.

საერთოდ სოფლის ყოფა-ცხოვრებაში ბუდობს სხვადასხვა ფორმით ბევრი სხვა დახავსებული და მავნე ზნეჩვეულებანი, რომლებიც მძიმე ლოდათ აწევს სოფლის მშრომელ გლეხობას.

საჭიროა სოფლის პარტიულმა და საბჭოთა ორგანოებმა ბრძოლა გამოუცხადონ ამ მავნე ადათ წესებს. ამასთანავე ერთად უნდა გაღრმავდეს სოფლად საგანმანათლებლო მუშაობა მე-13 პარტყრილობის დადგენილებების თანახმად.

კლ. გვალია.

პროვინციის ფოსტა

საჭამიასერი. ა. სხვიტარიძეს. თქვენი წერილი ძუკუ ლოლუას შესახებ დაგვიანების გამო ვერ მოვათავსეთ.

ს. ცაიში. ფ. ჟორდანიას. არ დაიბეჭდება.

აბასთუმანი. ფ. ცქვიტინიძეს. თქვენი წერილი ახალს არაფერს შეიცავს. არ დაიბეჭდება.

ხონი. პარტკორს ამხ. ილ. ბ. ფალავას. სარეგისტრაციო ფურცელი მივიღეთ. თქვენი წერილი მეაბრეშუმეობის შესახებ არ დაიბეჭდება, რადგანაც ეს საკითხი უკვე იყო გაშუქებული ჩვენს გაზეთში. ცეკავშირის გამგეობის განმარტებაც გვქონდა მოთავსებული.

მეორე წერილი ომის 10 წლის თავის აღსანიშნავ მიტინგის შესახებ მივიღეთ მხოლოდ დღეს. არ დაიბეჭდება დაგვიანების გამო.

საქ. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის
ბალანსი

აქტივი. 1-ლ აგვისტოსათვის 1924 წ. პასივი.

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1. კასა და სახელდახელო ანგარიშები	165.840—44
2. ფასიანი ქაღალდები და ვალიუტა	470.814—40
3. განაღდებული თამასუქები და ვალდებულ,	545.149—58
4. სპეციალ სახელდახ. ანგ. და სესხები უზრუნველყოფილი საქონლით	486.837—61
5. გრძელვადიანი სესხები	211.522—80
6. კორესპონდენტები	384.914—91
7. საქონელი კუთვნილი ბანკის	111.312—47
8. უძრავი ქონება	7.260—63
9. სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	124.723—09
10. მიმდინარე ხარჯები.	161.082—84
11. პროცენტები და კომისია გადახდილი	750—00
12. პროტესტ-ქმნილი თამასუქები	810—00
13. სხვადასხვა აქტივები	*)526.485—28
ს უ ლ	8.197.504—06

დასახელება ანგარიშებისა	თანხა
1. კაპიტალი	1.652.910
2. ანაბარი და სახელდახელო ანგარიშები	172.921
3. სპეციალ სახელდახელო ანგარიში უზრუნველყოფილი თამასუქ. საკრედიტო დაწესებ.	30.000
4. გადანაღდებული თამასუქები	20.000
5. კორესპონდენტები	446.530
6. გაუნაღდებელი ფულის ბარათები.	16
7. სხვადასხვა პირნი და დაწესებ.	26.239
8. სარგებელი შემოსული ოპერაციებით	396 784
9. სხვადასხვა პასივები	**)452.101
ს უ ლ	8.197.504

ს. ს. რ. სასოფლო-სამეურნეო ბანკის გამგეობა: ანდრონიკაშვილი, მენაბდე.

ინსპექტორი გრიგორაშვილი

*) ამ თანხაში შედის ანგარიშები:
1) დასაბრუნებელი თანხები
2) შეღავათი კლიენტებს
3) კოოპერბანკის სალიკვიდაციო აქტივი.

**) ამ თანხაში შედის ანგარიშები:
1) სარგებელი შემდეგი წლის
2) შეღავათი კლიენტებს
3) კოოპერბანკის სალიკვიდაციო პასივი.

მთავარი ბუხჰალტერი ტოგონიძე.

ნ. 1439 1—1

პარტიული და საბჭოთა კალენდარი

პარტიული

— 22 აგვისტოს, დილის 9 საათზე, თბილისის კომიტეტის სეკრეტარიატის ბინაზე დანიშნულია **კოოპერატიული კომისიის სხდომა.**

სავალდებულოა ქვემოდ ჩამოთვლილ ამხანაგების გამოცხადება:

ერისტოვის, ერქომაიშვილის ან [illegible], [illegible], [illegible], [illegible], მეიერის, მღებრიშვილის, ელბაქიანის, [illegible], ბოგდანოვის, [illegible], შონიასი და [illegible] შათა მთლიანი კოოპერატის წარმომადგენლის,

თბილისის კომიტეტის მდივანი: რუბენი.

— ს. კ. პ. ცეკას საავტ. [illegible] განყოფილება აცნობებს იმ ამხანაგებს, რომლებმაც გაათავეს მუშათა ფაკულტეტი, რომ ს. ს. რ. კ. უმაღლეს ტეხნიკურ სასწავლებლებში განცხადებების მოცემის ვადა გაგრძელებულია 25 აგვისტომდის.

განცხადებები

თბილისის მექანიკური საარტილერიო ქარხან

(ყოფ. არსენალი)

აცხადებს, რომ მომავალი სექტემბრის პირველს დღეს 12 საათზედ დანიშნულია

შეჯიბრება რომლითაც გაიცემა შე მიმდინარე საბიუჯეტო წ ანგარიშისა. ცნობების მიღ და გაცნობა სამუშაო პირობებისა შეიძლება ქარხნის ბუჰჰალტერიაში ყოველ დღე სამუშაო დღეებში დილის 9—2 საათ. მსურველთ და შემოიტანონ დახურულ კონვერტით განცხადება თავისი პირობების საბუჰჰალტერო გამოცდილების აღნიშვნით.

ნ. 1438 1—1. მექანიკური საარტილერიო ქარხანა.

გამომცემლობა „წითელი წიგნი“

რუსთაველის პროსპ. № 8 ტელ. 7—54.

მომავალ სამოსწავლო სეზონისათვის გამომცემლობის საწყობებში მოიპოვება შემდეგი წიგნები:

1) ზედგინიძე და ჯაფარიძე—მეთოდური ქრისტომატია ნაწ. 3
2) გომელაური—ქართველი მწერლები ნაწ. 4.
3) თაბუკაშვილი—განთიადი ქართ. ენ. ნაწ. 1.
4) გოგებაშვილი—„Русское слово“.
5) ახვლედიანი და ზანდუკელი—„Русская хрестома кумов“
6) ლ. ლეონიძე—„მელორეობა“.
7) ბაქრაძე—ჰიგიენა.
8) მიქელაძე და მახვილაძე—კლინიკური ანალიზი.

ყოველნაირი რვეულები.

გამოცემათა მთავარი საწყობი: თბილისი, რუსთაველის პრ. № 8 ტელ. 7-5

წიგნების გამყიდველებს ჩვეულებრივი შეღავათი

2—2 ნის. 1420

ვამზადებ და ვასწორებ ჩამორჩენილთ

მათემატიკაში

არითმეტიკაში, ალგებრაში, გეომეტრიაში, ტრიგონომეტრიაში.

უმაღლეს და საშუალო სასწავლებელში შესასვლელად. პლეხანოვის ქ. №

(შესავალი ალექსის ქუჩიდან № 5) მიღება 8—1 ს. 3—7 ს.

1769 5—2

ელექტრონის და სინათლის

სამკურნალო

საწოლებით რენტგენი დ'არსონვალი

მიხეილ გედევანიშვილის სახელობის

ნერვიულ და შინაგან ავადმყოფთათვის, რომელნიც ფიზიკურ მეთოდებ ექიმობას საჭიროებენ

სამკურნალო სწარმოებს **ექ. სვიმონ ყიფშიძის** ხელმძღ

ბით. თბილისი, ყორღანოვის ქ. № 20. 25—8

ექიმი გ. გ. მეგრაბიანი

შინაგანი, გულისა და ჰლექით დაავადმყოფებულნი. სპეც. ცილის წამ ბა— ეშხაპ. 914, ყოველ ორგანოების განათება, ფოტოგრაფიული გა ღება და კიბოს წამლობა

რენტგენის სხივებით

დილ. 9—1 დღ. და 6—8 ს. სალ. ბებუთოვის ქუჩა № 23.

1562 13—1

დაიკარგა პირადობის მოწმობა, სამხედრო აღრიცხვის მოწმობა იასონ ქქუჩასძე გელენიძეს სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა ახკომკავშირის განსაკუთრებულ დანიშნულების მოწმობა № 46273, რადობის მოწმობა „კომუნისტი“-ს რედ დან № 898, ჯილავდრიშვილის სახელზე ჩაითვალოს გაუქმებულად. 1-1

დაიკარგა პროფესიონალური კავშირის საწევრო წიგნაკი და სამხედრო აღრიცხვის ბარათი—ლუკა ბრეგვაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1—1

დაიკარგა რეგისტრაციის მ № 373 ვასილი ძიშვილის სახელზე. ჩაითვალოს გა ლად. 1785 1-1

დაიკარგა საალმშენებლო კავშირის წიგნაკი № 111, ლევან წერეთლის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1784 1—1

დაიკარგა პასპორტი და მე ლი მოწმობა გლ კოკოლიშვილის სახელზე. ჩაითვალოს მებულად. 1787 1-1

დაიკარგა პირადობის მოწმობა და რეგისტრაციის ქაღალდი ვლასა კვჰალმაძის სახელზე. ჩაითვალოს გაუქმებულად. 1786 1—1

დაიკარგა სარეგისტრაციო წ არშალუის ბალასანიანის სახელზე. ჩაითვალოს გა ბულად. 1788 1-1

ტირაჟი—13,500

სტამბა „ზარია ვოსტოკას“, საშა წულუკიძის ქუჩა № 4.